

მწვანე მომავალი ევროპისათვის
შესწორებულია და მიღებულია
ევროპის მწვანეთა პარტიის ყრილობის მიერ
ჟენევა, 2006 წლის 14 ოქტომბერი

შინაარსი

ჩვენი შესხედულება ევროპის მომავალზე

- 1. ევროგაერთიანების მღვთმარქობა*
- 2. ევროპის მომავლის ჩვენი მწვანე პოლიტიკური ხედვა*
მშვიდობის პროექტი
მდგრადი მომავალი
ჩვენი ევროპული სოციალური მოდელის გაძლიერება
მომხმარებელთა უფლებები და ჯანმრთელობის დაცვა
მწვანე ეკონომიკური ხედვა ევროპისათვის
უფრო სამართლიანი გლობალიზაციის უზრუნველყოფის პროცესის
გლობალური მონაწილე
დემოკრატია, მრავალფეროვნება, მიგრაცია და კანონის უზენაესობა
- 3. დემოკრატიული არქიტექტურა მოქმედი ევროგაერთიანებისთვის*
ევროპარლამენტი
ეროვნული პარლამენტები
სუბსიდიარულობა
პოლიტიკური პარტიები
სასამართლო
მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობა
- 4. ევროგაერთიანების მომავალი გაზარტოვება*
- 5. (როგორ) მივაღწიოთ ევროპის საკონსტიტუციო შეთანხმებას?*
- 6. ევროპის გამწვანება*
ევროპა, როგორც სამშვიდობო პროექტი
მდგრადი მომავლის შექმნა
ევროპის სოციალური მოდელის გაძლიერება
მომხმარებელთა უფლებები და ჯანდაცვა
მწვანე ეკონომიკური ხედვა ევროპისთვის
ევროპა, როგორც სამართლიანი გლობალიზაციის მხარდამჭერი
დემოკრატია, მრავალფეროვნება და კანონის უზენაესობა
მიგრაცია
სამართალი
დასკვნა

ჩვენი შეხედულება ევროპის მომავალზე

მწვანეებისთვის ევროპა ყოველთვის მეტს ნიშნავდა, როგორც პოლიტიკურ, ასევე გეოგრაფიულ ასპექტებში, ვიდრე ევროგაერთიანება. მას შემდეგ, რაც 1983 წელს “მწვანე პარტიების ევროპის საკოორდინაციო ორგანიზაციას” საფუძველი ჩაეყარა, ჩვენი წევრების რიცხვში ყოველთვის იყვნენ მწვანეთა პარტიები, როგორც ევროგაერთიანების, ასევე მის გარეთ დარჩენილი ქვეყნებიდან: ამჟამად ჩვენი “ევროპის მწვანეთა პარტია” 31 ქვეყნის 35 პარტიას აერთიანებს. და, განსაკუთრებით ამ გლობალიზაციის ეპოქაში, გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემები არ იწყება და არ მთავრდება ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების საზღვრებთან. ჩვენთვის მიუღებელია, რომ მწვანეებმა ააშენონ კედელი და თვალი დახუჭონ ყველაფერზე, რაც მის მიღმა ხდება. ჩვენ, მწვანეები, ევროგაერთიანებას, როგორც მშვიდობის დამყარებისკენ მიმართულ პროექტს ვუყურებთ და ვადიარებთ, რომ ამის მიღწევის ერთერთი ძირითადი საშუალება გაფართოვებაა.

სოციალური უსამართლობის ზრდა (განსაკუთრებით ეს ახალგაზრდა ადამიანებისთვის სამუშაო ადგილებს და მათ სამომავლო პერსპექტივებს შეეხება), ტერორიზმის გამო ადამიანის და მოქალაქეების უფლებების ნაკლები დაცულობა, ბირთვული პრობლემები, ისევე როგორც ეკოლოგიური კრიტიკრიუმების გაუარესება და, რაღა თქმა უნდა, ევროგაერთიანების ინსტიტუციონალურ დონეზე შექმნილი ჩიხური სიტუაცია, სხვა საკითხებთან ერთად, მთელი ევროპის – ევროგაერთიანების და მის საზღვრებს მიღმა – მწვანეების ძირითად საფიქრალს წარმოადგენს.

“ევროპის მწვანეთა გაერთიანებას” ჰქონდა და ახლაც აქვს ერთი ძირითადი მიზანი: საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ომების და კონფლიქტების შემდეგ, მშვიდობის და კონტინენტის ადამიანებს შორის თანამშრომლობის მიღწევა და, საუკუნეების მანძილზე განხორციელებული კოლონიალური პოლიტიკის შემდეგ, გლობალურ პოლიტიკაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა. განსაკუთრებით მეორე მიმართულებით რჩება ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო. ამდენად, წინამდებარე დოკუმენტის ყურადღება ძირითადად მიმართულია იმ მნიშვნელოვანი პრობლემებისკენ, რომლებსაც მწვანეები ევროგაერთიანების დონეზე ხედავენ, რადგან მის მდგომარეობას და პოლიტიკას გადაამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიათ არა მხოლოდ ევროგაერთიანების შიგნით მიმდინარე პროცესებზე, არამედ ევროპის დანარჩენი ნაწილების, ისევე როგორც სხვა ქვეყნების განვითარებაზე.

1. ევროგაერთიანების მდგომარეობა

ევროგაერთიანება ისტორიული წარმატების მაგალითს წარმოადგენს. არასოდეს ევროპის ისტორიაში ამდენ ერს არ უცხოვრია მშვიდობიანად ამდენად დიდი პერიოდის განმავლობაში. უფრო ფართო კუთხით, ევროგაერთიანებამ პოზიტიური როლი ითამაშა ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ევოლუციაში. ევროგაერთიანებამ საგრძნობი წვლილი შეიტანა ევროპული ერების შეკავშირებაში. იგი პოზიტიურ როლს თამაშობდა მიმდინარე კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის ხელშეწყობაში. ევროგაერთიანება საერთაშორისო ლიდერი გახდა ძლიერი გარემოსდაცვითი პოლიტიკის კონცეფციების შემუშავებაში, ეკოლოგიურად მდგრადი საზოგადოების შენებისკენ სწრაფვაში, თუმცა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რჩება გასაკეთებელი.

ევროგაერთიანების გაფართოვების პროექტებმა ევროპის რეგიონის დემოკრატიული სტაბილიზაცია გამოიწვიეს. ადამიანების და უმცირესობების უფლებების დაცვაში, ანტი-დისკრიმინაციული და გენდერული პოლიტიკების შემუშავებაში ევროგაერთიანებამ პროგრესის გზა აიჩნია. ევროგაერთიანებაში გაწევრიანებამ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა შეამცირა, თუმცა არ მოგვცა მთლიანად ევროპის მასშტაბით უთანასწორობის პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობა.

მიუხედავად ამისა, ამჟამად ევროპა, როგორც ადამიანების და სახელმწიფოების ურთიერთობის პროექტი, პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. ეს ნიდერლანდებში და საფრანგეთში ჩატარებულმა რეფერენდუმებმა ცხადყო. ამჟამად ევროგაერთიანების შესახებ დებატებში ორი თვალსაზრისი დომინირებს, თუმცა ისინი არ არიან აუცილებლად ერთმანეთის საწინააღმდეგო: ერთის მხრივ ევროგაერთიანების, მასში დემოკრატიული გამჭვირვალობის ნაკლებობის, ბიუროკრატიული სტრუქტურის და, ეგრეთ წოდებული, ნეო-ლიბერალური პოლიტიკის დომინირების მიმართ ძლიერი სკეპტიციზმი არსებობს. ამას თან ერთვის ძალიან ბევრი ადამიანის წუხილი იმის შესახებ, რომ მათ შეიძლება საკუთარი ცხოვრების კონტროლის შესაძლებლობა დაკარგონ. მეორეს მხრივ, ადამიანებს იმედი აქვთ, რომ ევროგაერთიანება შეინარჩუნებს “ევროპულ სოციალურ მოდელს”, რომელიც მაღალ სოციალურ, გარემოსდაცვით, სამომხმარებლო და სხვა სტანდარტებზე იქნება დაფუძნებული, და მათ ეკონომიკური გლობალიზაციის ნეგატიური შედეგებისაგან დაიცავს. პრიველი შეხედულების თანახმად ევროგაერთიანება ძალიან შორს არის წასული; მეორეს თანახმად – ჯერ ბევრი არაფერი გაკეთებულა. თუმცა ორივეს მომხრეები თანხმდებიან, რომ ევროგაერთიანება სრულად ვერ აართლებს მის მიმართ გამოთქმულ იმედებს.

კონსტიტუციური პროცესების გაყინვის პარალელურად, ცოტა ხნის წინ წევრი ქვეყნების მიერ 2007-2013 წლების ფინანსური პერსპექტივის ფარგლებში განხორციელებულმა ევროგაერთიანები ბიუჯეტის შეკვეცამ, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რამდენად ღრმად არსებული კრიზისი. ევროგაერთიანება აგრეთვე სტრუქტურული პრობლემების წინაშე დგას, და ეს პრობლემების გადაწყვეტას საჭიროებენ. სხვადასხვა წევრ ქვეყნებში ზრდადი კონსერვატიული და, ზოგჯერ, ნაციონალისტური განწყობილებების ფონზე, ევროგაერთიანებას პოლიტიკურ კონტექსტში თავისი როლის გადახედვა მოუწევს.

ამჟამად ევროგაერთიანებას, წლების განმავლობაში პოლიტიკური გამბედაობის ნაკლებობის და მისი წევრი ქვეყნების პოლიტიკური ლიდერების წინდაუხედაობის გამო, ძვირი ფასის გადახდა უწევს. გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საორგანიზაციო და ევროგაერთიანების (თავისი 25 წევრი ქვეყნით) სხვადასხვა დონეებს უფლებამოსილებები გადანაწილების სქემები პრობლემატურია. ეროვნულ მთავრობებს ჯერ კიდევ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დაბლოკვა, მაშინაც კი, როდესაც ასეთ გადაწყვეტილებებს ინტეგრაციის პროცესის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი და მოქალაქეების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. ძირითადი აქცენტი გაფართოვებაზე იყო გადატანილი და სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული პროცედურების და ინსტიტუტების გაძლიერებისკენ მიმართული მცდელობები არასაკმარისი მოცულობით ხორციელდებოდა.

ამსტერდამის და ნიცის შეთანხმებების დადებისას ხელიდან იქნა გაშვებული ევროგაერთიანების ფუნქციონირების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი შანსები.

ევროგაერთიანება სხვადასხვა დონეებზე დემოკრატიის სერიოზულ დეფიციტს განიცდის. რამოდენიმე ქვეყანაში ეროვნული პოლიტიკოსები ევროგაერთიანებას საკუთარი მიზნების მიღწევისას მეწველი განტევების ვაცის როლს ანიჭებენ. ევროგაერთიანებაში გადაწყვეტილებების მიღების მნიშვნელოვანი ასპექტები ეროვნული ან ევროპის დონის დემოკრატიული კონტროლის მიღმა რჩებიან და ეს ძალა ძირითადად წევრი სახელმწიფოების მთავრობების და ადმინისტრაციების ხელშია კონცენტრირებული. სხვადასხვა დონეებს შორის კომპეტენციების გადანაწილების არსებული სქემის შედეგად, ევროგაერთიანება ზოგიერთი მიმართულებებით ზედმეტის გაკეთებას ცდილობს, ხოლო სხვა მიმართულებებით პრაქტიკულად არაფერს ახორციელებს. რეფერენდუმების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი არ თვლის თავს იმ პოლიტიკების ნაწილად, რომელთა განხორციელებასაც ევროგაერთიანება ცდილობს. ევროპის მრავალი მოქალაქის თვალში ევროგაერთიანებას ეროვნული მთავრობების ზედმეტად დიდი რაოდენობა ჰყავს, და ისინი თნამშრომლობის მაგივრად კონკურენციის გზას დაადგენენ, რამაც ევროინტეგრაციის პროცესების პოზიტიური ელემენტებიდან გადახვევა გამოიწვია. ძალიან ბევრ ევროპულ მოქალაქეებს ისეთი შთაბეჭდილება რჩებათ, რომ მათ ევროგაერთიანებაში მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ, ხოლო ეკონომიკურად ძლიერი ლობისტები ამას მშვენივრად ახერხებენ.

თავის სტრუქტურაში და მუშაობის სტილში ევროგაერთიანებამ უპირატესობა კონკურენციაზე დამყარებულ საბაზრო მოდელს მიანიჭა და ევროპული სოლიდარობის მოდელი დავიწყებას მისცა. ერთის მხრივ მონეტარული პოლიტიკის 'შეკაცრ წესებს' და მეორეს მხრივ სოციალური პოლიტიკის სფეროში ღია კოორდინაციის მეთოდის 'შეღავათიან წესებს' შორის კონტრასტი არასიცოცხლისუნარიანია. თუკი ევროპულ პროექტს სურს დაარწმუნოს თავისი მოქალაქეები, ამ პატური სიტუაციიდან გამოსავალი რაც შეიძლება მალე უნდა მოიძებნოს.

ის არგუმენტები, რომლებსაც პოლიტიკოსების სულ უფრო მზარდი ჯგუფი გაფართოვებს შესახებ გამართულ დებატებში იყენებს, შემაშფოთებელია. არ შეიძლება ვინმეს გაფართოვების სურვილი ამოძრავებდეს და ამავე დროს ამისათვის საჭირო თანხების გამოყოფას ეწინააღმდეგებოდეს. იმაზე ფიქრი, რომ შესაძლებელია სოლიდარობის თავიდან აცილება ან გადადება, სახიფათო სტრატეგიაა, რომელმაც შესაძლოა მოკლევადიანი (ეროვნული) პოლიტიკური სარგებელი მოიტანოს, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ბევრად დიდი ზარალის, მაგალითად უშიშროების საკითხებში, მოტანა შეუძლია. აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროგაერთიანებამ უფრო დაკვირვებით შეისწავლოს ვინ აგებს და ვინ იგებს ამჟამად არსებული პოლიტიკების (მაგალითად, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის) შედეგად და შესწორებები შეიტანოს იმ პროცედურებში და წესებში, რომლებსაც ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის სოლიდარობის მექანიზმების დარღვევამდე მიყვავართ.

ევროპული პროექტის კრიზისის ფესვები ალბათ გლობალიზაციასთან დაკავშირებულ ფუნდამენტალურ პრობლემებში უნდა ვეძიოთ. გლობალიზაციის

პროცესის ამჟამინდელი ორგანიზაცია მოქალაქეებში ღრმა შემოფოტობას იწვევს. წარმოიშვება სოციალური “განუზღვრელობა” და მოქალაქეებს არსებული ინსტიტუტების მიმართ რწმენა უქრებათ. გლობალიზაციის ძირითადად ეკონომიკურ პროცესს ძლიერი პოლიტიკური პასუხი უნდა გაეცეს. როგორც ჩანს, ევროპელ პოლიტიკოსებს არ ძალუძთ დაარწმუნონ თავიანთი მოქალაქეები იმაში, რომ ამ მხრივ ევროგაერთიანებას დამატებითი სარგებლის მოტანა შეუძლია. ბევრის თვალში ევროგაერთიანება სწორედ რომ გლობალიზაციის ნეგატიური პროცესის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, და არა მოქალაქეების პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას. ამას ადასტურებს, მაგალითად, ნეო-ლიბერალური ‘ბოლკენშტაინის მომსახურების დირექტივის’, საპორტო მოსახურების შესახებ დირექტივის, სამუშაო საათების შესახებ დირექტივის განხილვის პროცესი და ის ზეწოლა კომისიის მხრიდან, რომელიც მან გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტებისთვის ბაზრის გახსნის მიზნით განახორციელა.

თუმცა, უფრო ფუნდამენტალურ დონეზე, უკვე შეუძლებელია არამდგრადი ცხოვრების სტილის იგნორირება, მისი ‘ექსპორტირება’ მსოფლიოს სხვა ნაწილებში ან მისი გადაცემა მომავალი თაობებისთვის. უკანასკნელ დრომდე (დასავლეთ) ევროპის მდიდარი ქვეყნები ახერხებდნენ საკუთარი თავის გლობალიზაციის ნეგატიური ასპექტებისგან დაცვას. ეს ასე აღარ არის. მხოლოდ ეკოლოგიური სამართლიანობის გზით სიარული, რაც ნიშნავს რომ ამ ევროპულ ქვეყნებს თავიანთი ეკოლოგიური ზეგავლენის შემცირება მოუწევთ, იძლევა იმის გარანტიას, რომ მსოფლიოს სხვა ნაწილებში შესაძლებელი იქნება მდგრადი განვითარების მიღწევა და უსაფრთხო და სამართლიანი მომავლის უზრუნველყოფა.

2. ევროპის მომავლის ჩვენი მწვანე პოლიტიკური ხელვა

პოლიტიკურად და ეკონომიკურად კარგად ინტეგრირებული ევროგაერთიანება აუცილებელია პოლიტიკის ძირითადი ასპექტების და მთავარი ‘მწვანე’ მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად. ჩვენ გვსურს, რომ ეს ასპექტები მკაფიოდ იქნას განსაზღვრული. და ჩვენ გვსურს, რომ ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი ეფექტური, გამჭვირვალე და დემოკრატიული გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურები სათანადოდ იქნან ჩამოყალიბებული. ამას გარდა, რა თქმა უნდა, არსებობს სფეროები, რომლებშიც გადაწყვეტილებების მიღება ეროვნულ, რეგიონალურ ან ადგილობრივ დონეებზე უნდა ხორციელდებოდეს.

ჩვენი, მწვანეების თვალსაზრისით ევროგაერთიანება სამშვიდობო პროექტია და მისი ქმედებები მსოფლიოში მშვიდობის და ადამიანების უფლებების უზრუნველყოფისაკენ უნდა იყოს მიმართული. ევროგაერთიანება ვალდებულია ევროპული სოციალური მოდელი დაიცვას. ევროგაერთიანება ვალდებულია მომხმარებელთა უფლებების და ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოს. ევროგაერთიანების ეკონომიკური მისწრაფებები მწვანე ეკონომიკის შეხედულებებს უნდა ეფუძნებოდეს და საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ეკოლოგიური და სოციალური პრინციპების საფუძველზე უნდა იქნას შემუშავებული. ევროგაერთიანებამ უნდა გადახედოს თავის ეკონომიკურ მიზნებს ისე, რომ გარემოს დაცვას და ადამიანების კეთილდღეობის უზრუნველყოფას უფრო მაღალი პრიორიტეტები ენიჭებოდეს, ვიდრე კერძო ინტერესებს. ევროგაერთიანება მსოფლიოს მასშტაბით უნდა იღწვოდეს სამართლიანი გლობალიზაციის მისაღწევად. ევროგაერთიანება მხარს უნდა უჭერდეს დემოკრაციას, მრავალფეროვნებას, თანასწორობას და კანონის უზენაესობას ყველა დონეზე...

მშვიდობის პროექტი

მშვიდობა ევროგაერთიანებაში 'ნორმად' იქცა, რაც უდავოდ მის ისტორიულ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. უკანასკნელ დროს მიმდინარე გაფართოვება და ევროპის ერთიანობის აღდგენა აძლიერებს ევროგაერთიანების როლს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. ევროგაერთიანება აგრეთვე ვალდებულება შეიმუშავოს ახალი სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი უსაფრთხოების ზომების გატარებას ევროგაერთიანების არაწევრ მეზობელ ქვეყნებთან. თუკი ჩვენ გვსურს მშვიდობის, სამართლიანობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ამჟამინდელი და მომავალი თაობებისთვის, უნდა სოლიდარობის გზით ვიაროთ, და ეს უფრო ძლიერი და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნით უნდა მიიღწეოდეს. საერთაშორისო საზოგადოებრიობა აგრეთვე მოელის, რომ ევროპა მშვიდობის დამყარებაში და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში გლობალურ როლს ითამაშებს. მონო-პოლარული მსოფლიო, რომელშიც "შერიფის" როლს ერთი ქვეყანა ასრულებს, ისევე როგორც მულტი-პოლარული კონფლიქტების მსოფლიო, ვერ გახდება მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფის საშუალება.

მდგრადი მომავალი

თუმცა რსებულ მდგომარეობას იდეალურს ვერ ვუწოდებთ, ევროგაერთიანების ერთერთ წარმატებად შეიძლება მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტების დაწესება ჩაითვალოს. ევროგაერთიანება ის ადგილი უნდა იყოს, სადაც მდგრადი და სამართლიანი მომავლის სქემა იქმნება. ევროგაერთიანებას ყოველთვის შეუძლია გარემოსდაცვით, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სასოფლო-სამეურნეო, სამომხმარებლო და სამეცნიერო საკითხებში მწვანე არჩევნის გაკეთება. გარემოსდაცვითი პოლიტიკა აგრეთვე ეკონომიკური ინოვაციების პოლიტიკას წარმოადგენს და სამუშაო ადგილებს და ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქმნის. ეკოლოგიურ მდგრადობაში ფულის დაბანდება სამართლიანობაში და უშიშროებაში დაბანდებას ნიშნავს. ამდენად, აუცილებელია დაისახოს ამბიციური პოლიტიკური მიზნები და შემუშავდეს ინსტრუმენტები, რომლებიც შეანელებენ კლიმატის ცვლილებებს, შექმნიან მდგრად სატრანსპორტო სტრუქტურას, შეინარჩუნებენ და გააძლიერებენ ბიომრავალფეროვნებას, განავითარებენ მდგრად სასოფლო მეურნეობას, მხედველობაში მიიღებენ მწვანე გლობალურ პერსპექტივას და მხარს დაუჭერენ უფრო მდგრადი განვითარების გზების ძიებისკენ მიმართულ კვლევებს.

ჩვენი ევროპული სოციალური მოდელის გაძლიერება

ევროპელების უმრავლესობა მხარს უჭერს ევროპულ სოციალურ ტრადიციას, რომელიც სოციალური სამართლიანობის, საჯარო მომსახურების, გენდერული სამართლიანობის, მშრომელების და მომხმარებლები უფლებებს და გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის პრინციპებს ეყრდნობა. დღევანდელი მზარდი კონკურენციის მსოფლიოს პირობებში, ამ ტრადიციის შენარჩუნებისთვის მხოლოდ ეროვნულ დონეზე ზომების მიღება საკმარისი აღარ არის. მისი დაცვის და ერთიან ევროპულ სოციალურ მოდელად გარდაქმნისათვის სხვადასხვა ეროვნული გამოცდილებების გაზიარება არის აუცილებელი. ევროგაერთიანების სიძლიერე აუცილებელი იქნება მზარდი ინოვაციების, ეფექტურობის და კონკურენტუნარიანობის მოთხოვნილების ევროპის სოციალურ მოდელის

ღირებულებებთან დასაბაღანსებლად. ჩვენ არც ის გვინდა, რომ ევროპა დანარჩენი მსოფლიოსაგან იზოლირებული იყოს. არც იმის მომხრეები ვართ, რომ მსოფლიოში ცხოვრების იმ სტილის ექსპორტირება მოხდეს, რომელიც ასე უარყოფითად ზემოქმედებს ჩვენს პლანეტაზე. შესაბამისად, გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარება ჩვენ საზოგადოებებში და მსოფლიოს მასშტაბით სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული.

მომხმარებელთა უფლებები და ჯანმრთელობის დაცვა

მიუხედავად იმისა საქმე ფრინველის გრიპს თუ დიოქსინებს ეხება, კრიზისის დროს მომხმარებლები მოელიან, რომ ევროგაერთიანება მათ უფლებებს და სიცოცხლეს დაიცავს. ღია ბაზარზე მომხმარებლების უფლებების დაცვა (მაგალითად, როდესაც მათ უსაფრთხო, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალი პროდუქტების მიღება სურთ) აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია. ევროგაერთიანება მომხმარებლების უფლებების და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეუცვლელ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რადგან ამ როლის ეფექტურად შესრულება ცალკეულ წევრ ქვეყნებს აღარ ძალუძთ. საკვების წარმოების მთელი ჯაჭვი პრევენციული მიდგომის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს და აუცილებელია გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებთან მიმართებაში პასუხისმგებლობის მკაფიო წესების შემუშავება. აქ ჩამოთვლილი ყველა საკითხის გარშემო მართლაც რომ 'ევროპული' პოლიტიკის შემუშავებას ძლიერად მოტივირებული აღმასრულებელი ხელისუფლება დასჭირდება, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო კორპორაციების და ეროვნული მთავრობების მხრიდან ზეწოლას გაუძლებს და ითანამშრომლებს განვითარებად ქვეყნებთან, რათა მიაღწიოს საერთაშორისო ორგანოების არსებულ წესებში საჭირო ცვლილებების განხორციელებას.

მწვანე ეკონომიკური ხელვა ევროპისათვის

კონკურენტუნარიანობა საზოგადოებრივი ინტერესების პრინციპებთან (კერძოდ, გარემოს დაცვის და სოციალური ერთიანობის პრინციპებთან) შესაბამისად უნდა განისაზღვროს. მწვანეებისთვის საზოგადოებრივი ინტერესებისთვის ბრძოლაში და განსაკუთრებით გარემოს დაცვაში მიღწეული პროგრესი კონკურენციაზე და კონკურენტუნარიანობაზე წინ დგას.

ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის დედაბოძს მინერალურ საწვავზე (განსაკუთრებით ნავთობზე) დამოკიდებულების შემცირების და ბირთვული ენერჯისგან თავისუფალი ენერგეტიკული სისტემის უზრუნველყოფის სტრატეგია წარმოადგენს. ჩვენ მივსდევთ ინოვაციების გზას, რომელიც ენერგოეფექტურობის, ენერჯის ეკონომიის და განახლებადი წყაროების განვითარების კომბინაციას ეფუძნება. მწვანეების გარდაუვალ აუცილებლობად ესახებათ სამოქალაქო და სამხედრო ბირთვული ტექნოლოგიების აღმოფხვრა. იმისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს ენერგომომარაგების პრობლემების გადაჭრა, ჩვენ ცხოვრების სტილი და მოხმარების მოდელები უნდა შევცვალოთ. ევროგაერთიანება ამ პოლიტიკურ სფეროში უფრო აქტიურ როლს უნდა თამაშობდეს. ერთიანი ბაზრის არსებობის პირობებში, და როდესაც ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოების უმრავლესობას ერთიანი ვალუტა გააჩნიათ, ევროპული ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა აუცილებელი ხდება და მის გარეშე შეუძლებელია ეკოლოგიური მდგრადობის ან სოციალური ერთიანობის მიღწევა. ზიანის მომტანი

საგადასახადო კონკურენციის შეჩერება ამ ამოცანის ერთერთ ნაწილს წარმოადგენს.

უფრო სამართლიანი გლობალიზაციის უზრუნველყოფის პროცესის გლობალური მონაწილე

აუცილებელია, რომ სოლიდარობაზე დამყარებული და ეკოლოგიურად მდგრადი გლობალიზაციის უზრუნველყოფის პროცესში ევროგაერთიანებამ ძლიერი გლობალური მოთამაშის როლი ითამაშოს. მწვანეები მხარს უჭერენ სამართლიან ვაჭრობას. ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროპის დონეზე ‘ტობინის გადასახადის’ მსგავსი ინსტრუმენტის შემოღებას. ჩვენ გვსურს, რომ ევროგაერთიანება განვითარებად ქვეყნებთან მდგრადი განვითარების წინ წამოწევის საკითხებში თანამშრომლობდეს და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოებრიობის აქტიურ ჩართვას უზრუნველყოფდეს. კაპიტალის მოძრაობის გლობალიზაცია აგრეთვე დემოკრატიული პოლიტიკის გლობალურ დონეზე აყვანას მოითხოვს. ეს “გაეროს” როლის გაძლიერებას, საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას და საერთაშორისო სამართლის მხარდაჭერას გულისხმობს.

დემოკრატია, მრავალფეროვნება, მიგრაცია და კანონის უზენაესობა

ექვევარეშეა, რომ ევროგაერთიანება ჯერ კიდევ საჭიროებს დემოკრატიული პროცედურების დახვეწას. თუმცა, ევროგაერთიანება მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და ახლაც თამაშობს თავის წევრ ქვეყნებში დემოკრატიული პროცედურების და ინსტიტუტების დამკვიდრების, ისევე როგორც ქალების როლის გაძლიერების უზრუნველყოფის საქმეში. ეს პოზიტიური ეფექტი ეხება როგორც ძველ, ასევე ახალ წევრ სახელმწიფოებს. ევროპის სასამართლო, “ფუნდამენტალური უფლებების ქარტია”, “ევრომმზღსმენი” და რეკლამაციების წარმოდგენის წესი მოქალაქეებს საკუთარი უფლებების დაცვის ძლიერ საშუალებას უქმნიან. ევროგაერთიანებაში შემაჯავალი სახელმწიფოები ვალდებული არიან აღიარონ ისტორიული, კულტურული, ეთნიკური ან ენობრივი უმცირესობები. ევროგაერთიანება აგრეთვე კოორდინაცია უწევს თავის წევრებს ადამიანის უფლებებისათვის ბრძოლაში. განსაკუთრებით ეს ეხება რასიზმთან, ჰომოფობიასთან, ქსენოფობიასთან, ასაკობრივ დისკრიმინაციასთან, ანტი-ისლამიზმთან და ანტისემიტობიზმთან ბრძოლას, ისევე როგორც ლტოლვილებისთვის ჰუმანიტარული სტანდარტების უზრუნველყოფას, იმიგრანტების ინტეგრაციის რეგულირებას და საერთაშორისო ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პროცესში კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას. სპეციალური ყურადღება ბოშებს უნდა მიექცეს, რადგან ევროპის ზოგიერთ ნაწილში ისინი დისკრიმინაციის (დე-ფაქტო ან დე-იურე) საგანს წარმოადგენენ.

3. დემოკრატიული არქიტექტურა ქმედითუნარიანი ევროგაერთიანებისთვის

ევროპა ვალდებულია ზე-ეროვნულ კონტექსტში გადახედოს დემოკრატიის განსაზღვრებას. კავშირი უნდა გადაიქცეს სუვერენიტეტის იდეების გამზიარებელ საკუთარი ხედვის მატარებელ ერთეულად, რომელიც აერთიანებს ინტეგრირებული სისტემის საერთაშორისო ორგანიზებულობის ელემენტებს. იგი პირდაპირ ახორციელებს იმ უფლებამოსილებას, რომელიც მასზე იქნა დელეგირებული, თუმცა მისი მოქალაქეების მიერ ჯერ კიდევ არ აღიქმება როგორც სრულად

ლეგიტიმური დემოკრატია. “ევროპის კონსტიტუციურ შეთანხმებას” მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია გაერთიანებაში არსებული დემოკრატიის დეფიციტის შესახებ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ჩვენ უნდა გავაგრძელოთ სწრაფვა ევროგაერთიანების სტაბილური კონსტიტუციონალური ჩარჩოების შექმნისაკენ.

ყველა წევრი ქვეყნის კონსტიტუციას საერთო მიზანი გააჩნია: უფლებამოსილების ნებისმიერი განხორციელების დაკავშირება ფუნდამენტალურ და ადამიანის უფლებებთან, დემოკრატიულ ლეგიტიმურობასთან, ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილებასთან, საზოგადოებრივი ორიენტაციის მქონე კანონმდებლობასთან, ნებისმიერი ქმედებების ლეგიტიმური საპარლამენტო და სამთავრობო კონტროლის შესაძლებლობებთან და კანონის უზენაესობის პრინციპებთან. დემოკრატიული მოწყობის ყველა ეს ფუძემდებლური პრინციპი აგრეთვე ევროგაერთიანების დონეზეც უნდა იჩენდეს თავს. მათი განხორციელება მთავრობათა შორისი თანამშრომლობის საფუძველზე მოწყობილი გადაწყვეტილებების მიღების სიტემის მეშვეობით შეუძლებელია.

ჩვენ ამბიციური და კოპერენტული კონსტიტუციური შეთანხმება გვესაჭიროება. “ფუნდამენტალური უფლებების ქარტიის” გარდა ჩვენ, მწვანეები, ყურადღებას ვაქცევთ ძლიერ საპარლამენტო უფლებებს, სუბსიდიარულობას, საკანონმდებლო გარანტიებს, მოქალაქეების ინიციატივას და ევროპულ რეფერენდუმს და ეს კონცეფციები იმ კონსტიტუციონალური მოწყობის ძირითად ელემენტებად მიგვაჩნია, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფით. ჩვენ, მწვანეები, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს სწრაფვას გაძლიერებული საპარლამენტო დემოკრატიის, გამჭვირვალობის და კანონის უზენაესობისაკენ, ფუნდამენტური უფლებების დაცვისაკენ, მოქალაქეთა ინიციატივის წახალისებისაკენ და ევროპული რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებისკენ და ვიმეორებთ, რომ ყოველივე ჩამოთვლილს განვიხილავთ, როგორც მომავალი კონსტიტუციონალური მოწყობის განუყოფელ ელემენტებს.

ევროპარლამენტი

ევროგაერთიანების ნებისმიერი საკანონმდებლო აქტების მიღება, როგორც ამას თავიდანვე განსაზღვრავდა კონვენცია, უნდა ხდებოდეს საჯარო წესით ევროპარლამენტის და საკანონმდებლო საბჭოს მიერ. რაც შეეხება საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკას, ევროპარლამენტს უნდა გააჩნდეს დამავალდებულებელი მითითებების მიცემის და ბიუჯეტის განაწილებაში მონაწილეობის მიღების უფლება. აუცილებელია ევროპარლამენტი როლის გაძლიერება საერთაშორისო შეთანხმებების შესახებ მოლაპარაკების და მათი დადების პროცესებში. როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების ერთერთ შტოს, ევროპარლამენტს, კომისიასთან ერთად, ევროპის კანონმდებლობის შესახებ ინიციატივების წამოყენების უფლება უნდა გააჩნდეს. იმისათვის რათა შესაძლებელი იყოს ცალკეული სახელმწიფოების მიერ კავშირის გადაწყვეტილებების ვეტოს გამოყენებით დაბლოკვის პრქტიკის თავიდან აცილება, საკანონმდებლო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილებები საერთო კანონმდებლობის შესახებ ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით უნდა მიიღებოდეს.

ევროპარლამენტს და საკანონმდებლო საბჭოს კომისიის აღმასრულებელი ძალაუფლების გაკონტროლების თანაბარი უფლება გააჩნიათ. კომისიის უფლებამოსილების ვადა ევროპარლამენტის საკანონმდებლო პერიოდთან უნდა იქნას მიბმული. კომისიის პრეზიდენტი ევროპარლამენტის მიერ უნდა ირჩევოდეს და ევროპის მინისტრთა საბჭოს მიერ უნდა მტკიცდებოდეს. კომისია, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრი და თითოეული ინდივიდუალური წევრი ევროპარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უნდა იყოს. კომისიის პრეზიდენტს თავისი კოლეგების მიმართ ზოგადი სრული უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს.

ეროვნული პარლამენტები

ეროვნული პარლამენტები ევროგაერთიანების პოლიტიკურ ცხოვრებაში ძლიერ და აქტიურ როლს უნდა თამაშობდნენ. მათი წარმატებული მონაწილეობა ევროგაერთიანების მთელ საკანონმდებლო პროცესში გაზრდილი გამჭვირვალობის მიღწევის და მოქალაქეთა მხრიდან ნდობის დამსახურების ძირითადი წინაპირობაა. წარმატებული მონაწილეობა მხოლოდ ევროპულ არენაზე საკუთარი მთავრობების პოლიტიკური კონტროლით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ისინი სუბსიდიარულობის პრინციპის განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ. მათი როლი ევროპის დონეზე ადრეული ანალიზით და მოსახერხებების შესწავლით უნდა იწყებოდეს და – დირექტივების მიღების შემთხვევაში – ეროვნულ დონეზე მათი სათანადოდ და დროულად გარდასახვაით უნდა მთავრდებოდეს. ისინი აგრეთვე მონაწილეობას უნდა იღებდნენ ყველა საკანონმდებლო ასამბლეებში, რომლებიც ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტებზე მუშაობენ.

სუბსიდიარულობა

ევროგაერთიანებაში დემოკრატია სხვადასხვა დონეებზე ვლინდება: ქალაქებში და მუნიციპალიტეტებში, რეგიონებში, წევრ სახელმწიფოებში და მთლიანად გაერთიანებაში. სუბსიდიარულობა ევროგაერთიანების ფუნდამენტალურ ღირებულებას წარმოადგენს. თუმცა, ევროპის მწვანეები მოუწოდებენ სიფრთხილისაკენ, რათა არ მოხდეს სუბსიდიარულობის კონცეფცია ადრევა ამჟამად გაბატონებულ რე-ნაციონალიზაციის კონცეფციასთან. თავისი ბუნებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო საბჭოს, რომელიც ქვეყნების გამაერთიანებელ პალატას წარმოადგენს, სუბსიდიარულობის შენარჩუნებაზე სპეციალური პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს. სასამართლოს გააჩნია კომპეტენცია მიიღოს გადაწყვეტილებები სუბსიდიარულობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული სარჩელების ან ევროგაერთიანების ინსტიტუტებს, წევრ სახელმწიფოებს და მათ კონსტიტუციურად აღიარებულ რეგიონებს შორის წარმოშობილი დავების შესახებ.

პოლიტიკური პარტიები

ევროპული პარტიები მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდნენ ევროპის პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხების წინ წამოწევაში. ჩვენ, მწვანეები, ტრანსნაციონალური სიების მომხრეები ვართ. ევროპარლამენტის ადგილების 10% პან-ევროპული სიებისთვის უნდა იქნას გამოყოფილი. ამდენად, ევროპულ არჩევნებში თითოეული მოქალაქე ორ ხმას მისცემს – ერთს ეროვნულ პარტიას,

ერთს კი პან-ევროპულს. ევროპულ პარტიებს კომისიის პრეზიდენტობის კანდიდატად თავიანთი სიების პირველი ნომრის წამოყენების უფლება ექნებათ.

სასამართლო

ევროპის სასამართლო აგრეთვე გაერთიანების კონსტიტუციურ სასამართლოს უნდა წარმოადგენდეს. ევროგაერთიანების კანონების შესრულებაზე საერთო კონტროლი, ადამიანის უფლებების დაცვის ჩათვლით, სწორად მას უნდა ევალებოდეს. ევროსასამართლოში სარჩელის შეტანის პროცედურა საგრძნობლად უნდა გამარტივდეს და ამის უფლება მოქალაქეებსაც, რომელთა უფლებებიც ირღვევა და გარემოსდაცვით და სოციალურ არასამთავრობო ოპრგანიზაციებსაც უნდა მიეცეთ. “ხელშეკრულებების” ფარგლებში მიღებული ნებისმიერი აქტები მისი იურისდიქციის ქვეშ უნდა ხდებოდნენ. ევროსასამართლოს თითოეული წევრის დამტკიცება ევროპარლამენტის მიერ უნდა ხდებოდეს, სათანადო მოსმენების გამართვის შემდეგ.

მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობა

ევროპის მოქალაქეთა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა “მოქალაქეთა ინიციატივის უფლების” და “ევროპის რეფერენდუმის” დანერგვის მეშვეობით უნდა მოხდეს. კანონპროექტი, რომელიც ხელმოწერილი იქნება წევრი სახელმწიფოების სულ მცირე ერთი მილიონი მოქალაქის მიერ, უნდა გადაეგზავნოს კომისიას, რათა მან სათანადო საკანონმდებლო ინიციატივა გაატაროს, თუმცა აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ იგი შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და, კერძოდ, “ფუნდამენტალური უფლებების ქარტიას”. “მოქალაქეთა ინიციატივა” არ უნდა ზღუდავდეს ევროპარლამენტის და კომისიის საინიციატივო უფლებას, მაგრამ იგი უნდა ავალდებულებდეს ამ ორივე დაწესებულებას მიიღოს შესაბამისი ზომები ან, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით უარყოფენ ამ წინადადებას, საჯაროდ ახსნან ასეთი უარის მიზეზები.

4. ევროგაერთიანების მომავალი გაფართოვება

ევროგაერთიანების წევრების რაოდენობის გაზრდა 6-დან ამჟამად არსებულ 25-მდე წარმატებაა. თუმცა, ამჟამად არსებული საკონსტიტუციო კრიზისის გადაჭრის გარეშე, მომავალში გაფართოვება ვეღარ მოხდება (გარდა ბულგარეთის და რუმინეთის მიღებისა), თუნდაც მხოლოდ “ნიცის შეთანხმების” მიერ შექმნილი საკანონმდებლო ბარიერების გამო.

ევროგაერთიანება სავსებით სწორად იქცევა ხორვატიის და თურქეთის მიმართ. ჩვენ მივესალმებით ამ ორ ქვეყანასთან წევრობის შესახებ მოლაპარაკების პროცესის დაწყებას. ჩვენ ყოველთვის მკაფიოდ გამოვთქვავდით როდესაც ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმებში რაიმე ხარვეზებს ვამჩნევდით, და ჩვენ ორივე ქვეყანას სანდო, თუმცა კრიტიკულ მხარდაჭერას აღმოვუჩინეთ. გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების პროცესი თავისი ბუნებით ღიაა, მაგრამ წევრობა მიზანს უნდა წარმოადგენდეს. ისევე როგორც წარსულში, ჩვენ ამჟამაც მივესალმებოდით შვეიცარიის, ნორვეგიის და ისლანდიის გადაწყვეტილებას შეუერთდნენ ევროგაერთიანებას.

ევროპის პოზიცია დასავლეთი ბალკანების მიმართ უცვლელი უნდა დარჩეს: უახლოეს წელში ევროგაერთიანების პრიორიტეტებად ამ რეგიონისთვის სტაბილიზაცია და მშვიდობა უნდა რჩებოდეს. ამდენად, ჩვენ გვსურს, რომ ევროგაერთიანებამ რეგიონის მიმართ ერთიანი სტრატეგია შეიმუშავოს. დასავლეთი ბალკანების ქვეყნებს შორის რეგიონალური თანამშრომლობა მათი ევროგაერთიანებაში გაწევრიანებისთვის მზადყოფნის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, მაგრამ, საბოლოოდ, თითოეული ქვეყანა საკუთარი ღირსებების საფუძველზე უნდა შეფასდეს და მათთან მოლაპარაკებები ინდივიდუალური განრიგის მიხედვით უნდა წარიმართოს.

დღესდღეობით, უკრაინასთან, ან თუნდაც სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების პერსპექტივა ისტორიული ჰორიზონტის მიღმა იმალება. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ – ხომ არ შეიცვლება სიტუაცია უახლოესი 25 წლის განმავლობაში. უკრაინისთვის, ბელარუსისთვის და მოლდოვისთვის ისტორიული პერსპექტივა არსებობს. თუმცა მათი პერსპექტივა ძალზედ გრძელვადიან პირობებში უნდა განიხილებოდეს. იგი აგრეთვე დამოკიდებულია ევროგაერთიანებაში მიმდინარე ინსტიტუციონალური რეფორმების რეალურობაზე. თუმცა, ამავდროულად, ევროგაერთიანებამ უყოყმანოდ უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა ამ ქვეყნებთან.

მწვანეებისთვის 1993 წელს კოპენჰაგენში განსაზღვრული კრიტერიუმები ნებისმიერი ქვეყნის გასაწევრიანებლად მზადყოფნის შეფასების ძირითად საფუძველს წარმოადგენენ. ეს კრიტერიუმები გადახედვას არ ექვემდებარებიან.

5. (როგორ) მივაღწიოთ ევროპის საკონსტიტუციო შეთანხმებას?

ჩვენ, მწვანეები დარწმუნებულნი ვართ, რომ ევროგაერთიანებას ახლა, ისე როგორც არასდროს, სჭირდება კონსტიტუციური მოწყობა, რომელიც გააძლიერებს საპარლამენტო დემოკრატიას, გამჭვირვალობას და კანონის უზენაესობას, დაიცავს ფუნდამენტალურ უფლებებს, განავითარებს მოქალაქეობის ინსტიტუტს და გაზრდის გაერთიანების პოტენციალს, რათა მან უკეთესად შეძლოს ქმედებების განხორციელება, როგორც საშიანაო, აგრეთვე საგარეო არენებზე.

ჩვენი აზრით, ევროგაერთიანებას საკონსტიტუციო პროცესის ხელახლა წამოწყება სჭირდება – საკუთარი პოლიტიკური საქმიანობის ხარისხის რადიკალურად გაუმჯობესების პარალელურად. დემოკრატიზაცია და ევროპის საკონსტიტუციო შეთანხმებისაკენ მიმართული ქმედებები გაერთიანების პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლასთან (პოლიტიკური ინიციატივების მიღების და მოსახლეობის საჭიროებებზე სათანადოდ რეაგირებისთვის ადექვატური წესების შემოღების გზით) ერთად უნდა განხორციელდეს. ეს, სხვა საკითხებთან ერთად, სოციალურ, ეკონომიკურ, ენერგეტიკის და გარემოსდაცვით სფეროებში არსებული მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტასაც გულისხმობს. მოსახლეობის ევროგაერთიანებისადმი ნდობა გაიზრდება, თუკი მოსახლეობა დაინახავს, რომ იგი მხოლოდ ერთიანი ბაზრის შექმნაზე კი არ არის ფოკუსირებული, არამედ არსებული პრობლემების მოგვარების საშუალებასაც წარმოადგენს.

მიმდინარე რატიფიკაციის პროცესის დროს აღმოჩნდა, რომ კონსტიტუციის მნიშვნელოვანი ნაწილები წინააღმდეგობას არ იწვევდნენ. “ფუნდამენტალური უფლებების ქარტია”, პირველი ნაწილის უმეტესობა და მესამე ნაწილში შესული ინოვაციების სერია ძალიან მცირედ, ან სულაც არ იქნა გაკრიტიკებული რატიფიკაციის პროცესში. მეტიც, აუცილებელია ფართო კონსენსუსის მიღწევა კონკრეტულ ცვლილებებთან დაკავშირებით, როგორებიცაა მოქალაქეთა ინიციატივის გაძლიერება, ევროპული რეფერენდუმის შემოღება, სოციალურ ამოცანებს შორის წინააღმდეგობების აღმოფხვრა და ა.შ.

ჩვენ არ გეჯერავს კონსერვატორების და სოციალ დემოკრატების მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტის, რომ თითოეული ქვეყნისთვის, რომელმაც უარყო კონსტიტუცია უნდა დაემატოს ცალკე პროტოკოლი, რაც, მათი აზრით, შექმნის საფრანგეთში და ნიდერლანდებში რეფერენდუმების უარყოფითი შედეგების გამო შექმნილი ჩიხური სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნის შესაძლებლობას. ამჟამად არსებული მასშტაბის საკონსტიტუციო კრიზისის დაძლევა შეუძლებელია იმ მოდელების გამოყენებით, რომლებიც წინათ გამოყენებული იქნა დანიაში და/ან ირლანდიაში რეფერენდუმების უარყოფითი შედეგების გამოსასწორებლად.

ამავდროულად, ჩვენ უარყოფთ ნებისმიერ წინადადებებს ამჟამად არსებული “ნიცის შეთანხმების” გამოყენების გაგრძელების და მასში მხოლოდ ცვლილებების იმ მიზნით შეტანის შესახებ, რომ ხორვატიასა და ბალკანეთის სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკებების დასრულების შემთხვევაში, იგი კვლავ ძალაში დარჩეს.

მწვანეები დარწმუნებულნი არიან, რომ ამჟამად არსებული დაბრკოლებების დასაძლევად აუცილებელია ახალი კონვენცია. იგი 1-ლი კონვენციის მიერ ჩაყრილ ფუნდამენტს უნდა ეფუძნებოდეს. შესაბამისად, ჩვენ უარყოფთ ნებისმიერ წინადადებას რომელიც ნებისმიერი ახალი შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების ნულიდან დაწყებას შეეხება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკონსტიტუციო შეთანხმება მისი ამჟამინდელი სახით შეიძლება და უნდა გაუმჯობესდეს. კონვენციამ უნდა მიიღოს მკაფიო მანდატი, და იგი უნდა მოიცავდეს კონსტიტუციიდან პოლიტიკური ნაწილის (მე-3 ნაწილი) ამოღებას და კონსტიტუციის სარევიზიო ნაწილსა (მთავრებით 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილები) და შეთანხმებას (მთავრებით მე-3 ნაწილი) შორის მკაფიო საზღვრის გატარებას. ახალი კონვენციის მიღება შესაძლებელია საფრანგეთის არჩევნების შემდეგ და გერმანიის პრეზიდენტობის პერიოდში. პროცესის ერთერთ შედეგს აგრეთვე სოციალური განზომილებების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისაკენ ძლიერი პოლიტიკური მისწრაფების ჩამოყალიბება უნდა წარმოადგენდეს. ახალ კონვენციაზე მუშაობაში აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა. საკონსტიტუციო ნაწილს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება “კონსტიტუცია” ეწოდოს, თუკი იგი ლაკონური და ადვილად აღქმადია, შეიცავს დებულებებს ფუნდამენტალური უფლებების შესახებ და დემოკრატიულ არქიტექტურას ეფუძნება.

საკონსტიტუციო შეთანხმებაში ჩვენი წინადადებების შესაბამისად განხორციელებული შესწორებების შეტანა, ანუ კონვენციის მუშაობის წმინდა კონსტიტუციონალური შედეგების რატიფიცირება საერთო ევროპულ რეფერენდუმზე უნდა მოხდეს. ამისათვის საჭიროა უმრავლესობა, და რეფერენდუმი მომავალი 2009

წლის ევროპული არჩევნების პარალელურად უნდა ჩატარდეს. ზუსტი მოდალობები 2008 წლის ბოლომდე უნდა განისაზღვროს ახალი კონვენციის და ევროპის მინისტრთა საბჭოს მიერ. მწვანეები ამ რეფერენდუმი მხარდასაჭერად მთელი ევროგაერთიანების მასშტაბით განახორციელებენ კამპანიას.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს წინადადება, რომელიც ევროპის მოქალაქეებს ჩიხიდან გამოსვლისაკენ მოუწოდებს, ევროპის საკონსტიტუციო კრიზისის დაძლევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ერთიანი საკონსტიტუციო გადაწყვეტილება, რომელიც არა მხოლოდ ევროგაერთიანების პოლიტიკური ინსტიტუტების, არამედ ევროპის საზოგადოების და თითოეული მოქალაქის მონაწილეობით იქნება მიღებული, საუკეთესო პასუხია ვიწრო ნაციონალური მიდგომების და ნაციონალური დაყოფის საწინააღმდეგოდ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ ნაკლებად რადიკალური გადაწყვეტილებები უშედეგო იქნება და ევროპის მოქალაქეები, როდესაც მათ კონტინენტის ისტორიული მოძრაობის საკუთარ ხელში ალებსაკენ მოუწოდებენ, ევროპას სწორედ აქეთ წაუძღვებიან. ამ კონტექსტში ჩვენ მივესალმებით პოლიტიკურ ინიციატივებს, რომლებიც მხარს უჭერენ ევროპის ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისაკენ მიმართულ სტრუქტურული თანამშრომლობის გაძლიერებას. თუმცა, აქვე გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, რომ ასეთი გაძლიერებული თანამშრომლობა მიზნად გაერთიანების მიზნების მიღწევას, მისი ინტერესების დაცვას და ინტეგრაციის მხარდაჭერას უნდა ისახავდეს, და ნებისმიერ დროს ღია უნდა იყოს თითოეული წევრი სახელმწიფოსათვის. ჩვენ აგრეთვე გვინდა მკაფიოდ განვაცხადოთ, რომ თანამშრომლობის ასეთი შესაძლო ფორმები არ უნდა აყენებდნენ ზიანს ევროპის კონსტიტუციის დროულად მიღებისაკენ მიმართულ ძალისხმევას.

6. ევროპის გამწვანება

იმისათვის რათა მოხდეს ევროგაერთიანების ფუნქციონირების ხარისხის გაუმჯობესება, გაჩნდეს ნდობა ევროპული ინსტიტუტების მიმართ და უკეთესად დაკმაყოფილდეს მისი მოქალაქეთა მოთხოვნები, ევროგაერთიანებამ უნდა შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს თავისი ძირითადი პოლიტიკები. საკუთარი ორიენტაციის გამწვანება დაეხმარება ევროგაერთიანებას იმოქმედოს რეალური საჭიროებების და სამოქალაქო მოლოდინების შესაბამისად. ევროპის მწვანეები გთავაზობთ “გამწვანების” სტრატეგიას, რომელიც ევროპის მომავლის ჩვენეულ ხედვას ეფუძნება.

ევროპარლამენტმა, მწვანეების მიერ წინააღმდეგ მიცემული ხმების მიუხედავად, დაამტკიცა 2007-2013 წლების საბიუჯეტო გეგმა. იმის მაგივრად, რომ ინვესტირება ადამიანურ რესურსებში და მეცნიერებაში მომხდარიყო, რაც მსოფლიოში ყველაზე “ცოდნაზე-ორიენტირებულ” რეგიონად გადაქცევის შესაძლებლობას მოგვცემდა, ხარჯების უმეტესობა ისევ სოფლის მეურნეობაზე და სტრუქტურულ ფონდებზე გადანაწილდა. ჩვენ, როგორც მწვანეებმა, უნდა შევიმუშაოთ მომავალზე ორიენტირებული მდგრადი ბიუჯეტის დაგეგმარების გრძელვადიანი სტრატეგია.

ევროპა, როგორც სამშვიდობო პროექტი

ევროგაერთიანების შექმნას ყველა ევროპული სახელმწიფოს მიერ გაზიარებული მშვიდობის იდეა ელო საფუძვლად. მეორე მსოფლიო ომის საშინელებებმა

ასწავლეს ევროპელებს, რომ ძალის გამოყენებას არა თვითდამკვიდრებამდე, არამედ წარუმატებლობამდე მიყვავართ. ევროპის გაერთიანება იმის საკმაოდ წარმატებული მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ძალის კანონის კანონის ძალად გარდაქმნა. როგორ შეიძლება კონფლიქტების მოგვარება არა ძალადობის, არამედ წესების, მოლაპარაკებების და კანონების მეშვეობით. შედეგად, ევროპელთა უმრავლესობა მხურვალედ უჭერს მხარს მრავალმხრივი ორგანიზაციების – მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს – არსებობას. ისინი წინააღმდეგი არიან სამხედრო ძალის გამოყენების, სანამ კონფლიქტის მოგვარების ყველანაირი მშვიდობიანი საშუალებები არ ამოიწურება. სამწუხაროდ, ევროპის მოქალაქეები უფრო ერთიანნი არიან ამ მოსაზრების მხარდაჭერაში, ვიდრე მათი პოლიტიკოსები. მთავრობებს შორის არსებული უთანხმოებების გამო, ევროგაერთიანება ხშირად გამოთიშულია მსოფლიო ასპარეზიდან.

ევროპის მწვანეები არ ეთანხმებიან ამ დანაწევრებას, რომელიც პარალიზების გარდა არაფერს იწვევს. მსოფლიოს წინაშე მდგარი საშიშროებების (ტერორიზმი, მასობრივი განადგურების შეიარაღების გავრცელება, არშემდგარი სახელმწიფოები, ორგანიზებული დანაშაული და კლიმატის ცვლილებები) წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიმართული ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პოლიტიკის ხარვეზები და წარუმატებლობები შეუიარაღებელი თვალთ ჩანს. ევროგაერთიანებამ, რომელიც უშიშროების უფრო ფართო კონცეფციას განასახიერებს და ახორციელებს, მეტი გლობალური პასუხისმგებლობა უნდა იკისროს. ის მიდგომები, რომლებმაც ევროგაერთიანების ქვეყნები გააერთიანეს – დიპლომატია, კულტურული დიალოგი, სამართლიანი ვაჭრობა, განვითარების დახმარება და საერთაშორისო კანონმდებლობის წინ წამოწევა – ევროპის საგარეო სიძლიერეს უნდა დაედონ საფუძვლად. ევროპა ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონა უნდა გახდეს.

ევროპის როლი, რომელმაც ხელი შეუწყო ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიაში, უელსში, კატალონიაში და ბასკეთში პოზიტიური ინსტიტუციონალური ცვლილებების განხორციელებას, უნდა გაძლიერდეს, რათა შესალებელი გახდეს ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებში არსებული შინაგანი კონფლიქტების მოგვარება. ეს განსაკუთრებით ეხება უმცირესობების და საკუთარი სახელმწიფოს არ მქონე ეთნოსების დაცვას, რაც მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფის ერთერთი საწინდარია.

ევროპის მოქალაქეები მხარს უჭერენ ევროპის საგარეო და უშიშროების პოლიტიკების მეტად ინტეგრირებას. ევროპას სჭირდება საგარეო საქმეთა მინისტრი, როგორც ეს ჩადებულია მის კონსტიტუციაში. მაგრამ, ამის გარდა, ევროპას აგრეთვე ვეტოების პრობლემის დაძლევა სჭირდება. იმისათვის, რათა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უფრო უფრო ეფექტური გავხადოთ, მინისტრთა საბჭოს საგარეო საქმის მინისტრის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებზე ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღების უფლება უნდა მიეცეს. ამვე დროს, უნდა გაძლიერდეს ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა მინისტრის ანგარიშვალდებულება ევროპარლამენტის წინაშე. ევროპარლამენტს უნდა მიეცეს საგარეო ურთიერთობების დამავალდებულებელი სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბების და ევროგაერთიანების საგარეო პოლიტიკის რეალური კონტროლის უფლება. როდესაც ევროგაერთიანებას ერთიანი

პოზიცია ექნება, საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს პოზიცია გაეროს უშიშროების საბჭოზე უნდა დაიცვას. და ბოლოს, ევროგაერთიანებას უშიშროების საბჭოში საკუთარი მუდმივი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროგაერთიანება სამოქალაქო ტიპის ძალას წარმოადგენს, მას მაინც სჭირდება საკუთარი სამხედრო ძალები. ისინი უკანასკნელი საშუალებაა, როდესაც კონფლიქტების პრევენციის და კრიზისების მართვის ყველა სამოქალაქო ხერხი ამოიწურება. ევროგაერთიანება აღარ უნდა იყოს დამოკიდებული “ნატოზე”, კონტინენტზე, მათ შორის დასავლეთ ბალკანებზე, მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში. ეს არ მოითხოვს სამხედრო დანახარჯების გაზრდას. ეს უბრალოდ უკეთეს თანამშრომლობას, ამოცანების უფრო მკაფიო განაწილებას და სამხედრო სიმძლავრეების გაერთიანებას მოითხოვს. თუმცა, ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი ვერასოდეს გახდება ევროგაერთიანების არმიის შეიარაღების ნაწილი. ამჟამად არსებული ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენება უნდა აიკრძალოს.

ევროგაერთიანებამ უნდა იკისროს მსოფლიო განიარაღების ინიციატივა, და ეს პროცესი მისი ტერიტორიიდან ნებისმიერი მასობრივი განადგურების იარაღის გატანის შესახებ მოლაპარაკებებით, სამხედრო ხარჯების ეტაპობრივად შემცირების და მათი სოციალურად სასარგებლო და ეკოლოგიურად მდგრად სფეროებში გადაანაწილებით უნდა დაიწყოს.

სამხედრო ხარევა ყოველთვის გაეროს ქარტიის შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს და მის მიზანს გრძელვადიანი მშვიდობის მიღწევა უნდა წარმოადგენდეს, და არა რაიმე საქონლის ან მსგავსი რამის მოწოდების უზრუნველყოფა. ევროპის სასამართლოს იურისდიქცია ევროგაერთიანების საგარეო და უშიშროების პოლიტიკებზეც უნდა ვრცელდებოდეს. სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად აუცილებელია ეროვნული და ევროპის პარლამენტების თანხმობის და გაეროს მანდატის მიღება. გარემოებებისდა მიუხედავად დაუშვებელია ევროგაერთიანების სამხედრო ძალების ლტოლვილი პირებისთვის გზის მოსაჭრელად შიდა საპოლიციო ძალების სახით გამოყენება. მშვიდობის და განიარაღების პროცესის მხარდაჭერის მიზნით ევროგაერთიანება უარს აცხადებს შეიარაღების ექსპორტზე და, შესაბამისად, “შეიარაღების ექსპორტის საკითხებში ევროგაერთიანების ქცევის კოდექსს” საკანონმდებლო დამავალდებულებელი ძალა უნდა მიენიჭოს და შეიარაღებით ვაჭრობის შესახებ შეთანხმება უნდა იქნას მიღებული. ევროგაერთიანება ევროპას ბირთვული შეიარაღებისაგან თავისუფალ ზონად აცხადებს და მხარს უჭერს ბირთვული შეიარაღების საერთოდ აკრძალვას. ევროგაერთიანების საერთო საგარეო პოლიტიკა მის მეზობლებში და საკუთარ მოქალაქეებში შიშს არ უნდა აღძრავდეს; იგი ურთიერთ ნდობის დანერგვას უნდა ემსახურებოდეს.

მდგრადი მომავლის შექმნა

ევროპის პოლიტიკური ლიდერების ერთერთი მთავარი ამოცანა გარემოს და რესურსების დაცვის გაუმჯობესებაში მდგომარეობს. ეს აგრეთვე ის მთავარი საქმიანობაა, რომლის განხორციელებასაც მოქალაქეების ევროგაერთიანებისგან მოელიან. ევროგაერთიანებაში ჩატარებული გამოკითხვებს თანახმად, მოსახლეობის

ორ მესამედზე მეტს სურს, რომ გადაწყვეტილებების მიმღებები თანაბარ ყურადღებას აქცევდნენ გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკებს.

თუმცა ზოგიერთ სფეროებში შეიძლება გაუმჯობესება დაინახოთ, გარემოზე ზეწოლა სულ უფრო იზრდება. არსებული ინფორმაციით, გლობალურ დონეზე რესურსების მოხმარების საერთო მოცულობა 20 პროცენტით იმაზე მეტია, რაც ჩვენს პლანეტას შეუძლია უზრუნველყოს. ამჟამინდელი ევროგაერთიანების საშუალო მოქალაქე მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე ორჯერ მეტ რესურსებს მოიხმარს.

ცხადია, რომ ეს არამდგრადია. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ვართ მდგრად დონემდე შევამცირეთ წარმოების და მოხმარების ზეგავლენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ფასის გადახდა მომავალ თაობებს მოუწევთ. აუცილებელია რესურსების მოხმარების და ეკოლოგიური მომსახურების უფრო თანაბრად გადანაწილება, რადგან ამის ერთადერთი ალტერნატივა ნაკლები რესურსებისთვის კონფლიქტებში ჩაფლობა იქნება.

ევროგაერთიანებამ გარემოს დაცვის სფეროში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია თითოეულ თავის წევრ სახელმწიფოში. ზოგიერთი ქვეყნის გარემოს დაცვის ზომები მთლიანად ევროგაერთიანების მიერ არის შემუშავებული. სხვა ქვეყნებში, რომლებშიც სტანდარტები უფრო მაღალი იყო, ამ სტანდარტების დაწევის ტენდენცია შეინიშნება.

შეშფოთებას იწვევს ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში ევროგაერთიანებაში არასწორი მიმართულებით შემობრუნება შეინიშნება. გარემოსდაცვით საკითხებს უფრო დაბალი პრიორიტეტი ენიჭებათ, ვიდრე “კონკურენტუნარიანობას” (ამის მაგალითებია ქიმიური წარმოება, ტრანსპორტი და ენერჯეტიკა). ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ რესურსების ეკოლოგიურად მდგრადი გზით მოხმარებას შეუძლია უზრუნველყოს სამუშაო ადგილები და ეკონომიკური პროგრესი გრძელვადიან პერიოდში, და გააუმჯობესოს კიდევაც ისინი მოკლევადიანში.

კერძოდ, საქონლის თავისუფალ გადაადგილებას გარემოს და ჯანმრთელობის დაცვაზე მაღალი პრიორიტეტი არ უნდა ენიჭებოდეს. ეს შეეხება როგორც ევროგაერთიანების შიგნით, ასევე ევროგაერთიანებასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის მიმდინარე პროცესებს. ადექვატური გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მექანიზმების არარსებობის პირობებში, საბაზრო ინტეგრაციის პროცესის გაგრძელებას შეუძლია ძალიან სერიოზული გავლენა იქონიოს როგორც გარემოზე, ასევე გარემოსდაცვით პოლიტიკაზე.

ევროგაერთიანების გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი პრინციპები – დამაბინძურებელი იხდის, პრევენციის და დაბინძურების წყაროშივე აღმოფხვრის პრინციპები – ძალიან მნიშვნელოვანია და ისინი უნდა სრულდებოდნენ. ეს ევროგაერთიანების გარემოსდაცვითი მარეგულირებელი კანონმდებლობის და სტანდარტების შესრულებასაც გულისხმობს. ამ პრინციპებს რამოდენიმე ახალიც უნდა დაემატოს: სახიფათო ქიმიური ნივთიერებების ჩანაცვლების, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და რესურსების მოხმარების და გარემოსდაცვითი ზეგავლენის სათანადო ჩარჩოებში შენარჩუნების, ანუ ევროპის ეკოლოგიური ფეხის ანაბეჭდის პრინციპები.

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს წინაშე მდგარი პრობლემებიდან ერთერთი ყველაზე სერიოზული კლიმატის ცვლილებაა, ევროგაერთიანებამ უფრო მეტი ძალისხმევა უნდა მიმართოს გლობალურ დათბობასთან საბრძოლველად. ამისათვის შესაძლებელია ევროგაერთიანების მასშტაბით ნავთზე გადასახადის ან ევროპული ეკოლოგიური გადასახადის შემოღება. ჩვენ უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ იმას, რომ ეკონომიკურ ზრდას თან არ სდევდეს რესურსების მოხმარების და გარემოზე ზეგავლენის ზრდა. აუცილებელია რესურსების მოხმარების და გარემოზე ზეგავლენის აბსოლუტური მნიშვნელობების შემცირება.

გარემოს და ცხოველების კეთილდღეობაზე ზრუნვის ჩართვა ევროგაერთიანების პოლიტიკაში, როგორც ამას შეთანხმება მოითხოვს, რეალობად უნდა იქცეს. კერძოდ, აუცილებელია გარემოსდაცვითი ფისკალური რეფორმა, რომლის მიხედვითაც დაიბეგრება რესურსების მოხმარება და გარემოზე ზეწოლა, ხოლო სხვა გადასახადები და დაფინანსების წყაროები შემცირდება. ევროგაერთიანების სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეიცვალოს და ეკოლოგიური წარმოების, ცხოველების კეთილდღეობის და სამართლიანი ვაჭრობის მიმართულებით შემობრუნდეს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირება უნდა შეწყდეს.

აგრეთვე აუცილებელია ეტაპობრივად გაუქმდეს გარემოსათვის საზიანო სუბსიდირება. სხვა სფეროები, რომლებში გარემოსდაცვითი პრიორიტეტების ინტეგრირებაც აუცილებლობას წარმოადგენს შემდეგია: სამეცნიერო კვლევები, სტრუქტურული ფონდები, თევზის მეურნეობები, ტრანსპორტი და ენერგეტიკა.

“ევრატომი” უნდა გაუქმდეს ან ძირფესვიანად გადაკეთდეს და გადაიქცეს ჩვენი ენერგოსისტემის მდგრადი რეფორმირების სააგენტოდ. ქვეყნებს, რომლებმაც თავიანთი სიმდიდრე იაფი მინერალური საწვავის არსებობის პირობებში დააგროვეს, გააჩნიათ შესაძლებლობები და ეკისრებათ პასუხისმგებლობა სუფთა, ეფექტური და განახლებად რესურსებზე დამყარებული ტექნოლოგიების შემუშავებაზე. ეს ევროპის ქვეყნებში მიმდინარე კვლევების და მათი განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს.

ჩვენ შეგვიძლიათ შევქმნათ მდგრადი ევროპა, რომელშიც მაღალი ცხოვრების დონე იქნება, მაგრამ ამისათვის ყველა დონის გადაწყვეტილებების მიმღებების ორიენტაციის შეცვლა იქნება აუცილებელი. ამას დასჭირდება პოლიტიკების, კვლევების და ინვესტიციების ორიენტაციის შეცვლა და მოძველებული იდეების გადახედვა იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო ცხოვრების მაღალი დონის მისაღწევად. “ევროპის მწვანეთა პარტია” და მისი წევრი ეროვნული პარტიები განაგრძობენ ერთობლივ მუშაობას ამ მიზნის ევროპულ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე მისაღწევად.

ევროპის სოციალური მოდელის გაძლიერება

ინტეგრაციის პროცესის საზოგადოებრივი მხარდაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუკი გაძლიერდება ევროგაერთიანების სოციალური კომპონენტი და ამის დანახვას მოქალაქეები თვალნათლივ შეძლებენ. მწვანეებისთვის ევროპული

საზოგადოებების მდგრადი განვითარება წარმოდგენელია სოციალური კომპონენტის გარეშე; შეუძლებელია, რომ ევროგაერთიანების როლი მხოლოდ ევროპის ერთიანი ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის განვითარებით შემოიფარგლებოდეს და იგნორირებას უწევდეს სოციალური ერთიანობის და ევროპის და მთელი მსოფლიოს მოქალაქეების საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ამჟამად არსებული მთავრობების უმრავლესობა აშკარად ან “დე-ფაქტო” მხარს უჭერს ევროგაერთიანებას, რომელიც მხოლოდ ერთიან ბაზარს წარმოადგენს, ხოლო ეროვნული კეთილდღეობის სისტემებს ერთმანეთთან კონკურენციის პირობებში აყენებს, რაც მათ (ისევე როგორც ფისკალურ და გარემოს დაცვის სისტემებს) დაცემას იწვევს. მწვანეები ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.

მწვანეების აზრით, იმისათვის რომ კეთილდღეობის სისტემები მდგრადი და წარმატებული იყოს, აუცილებელია მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა იმ მოსახლეობის მხრიდან, რომლისთვისაც ისინი განკუთვნილი არიან. ეს სისტემები სწორედ ამ მოსახლეობის საჭიროებებს უნდა ითვალისწინებდნენ. რადგანაც ეს საჭიროებები სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება განსხვავებული იყოს, შეუძლებელია ერთიანი, ყველასთვის გამოსადეგი სისტემის მოძებნა, რაც ნიშნავს, რომ მათი არჩევანი, ისევე როგორც განხორციელების ან გაუმჯობესების გზები თავად ქვეყნებმა უნდა აირჩიონ. ასე შეძლებენ ისინი გლობალიზაციის იმ გამანადგურებელი ფორმისთვის წინააღმდეგობის გაწევას, რომელიც თავისუფალი ბაზრის და ავტორიტარული რეჟიმების კომბინაციაზე დამყარებული (ამის მაგალითად ჩინეთი გამოდგება). უკეთესი კოორდინაციის მისაღწევად ქვეყნებს (ნებისმიერი რაოდენობით) შეუძლიათ ითანამშრომლონ, მაგრამ ეს მხოლოდ მათ კეთილ ნებაზე დამოკიდებული, თუმცა ჩვენ ასეთ თანამშრომლობას მივესალმებით. ეს არ უნდა იქნას გაგებელი ისე, თითქოს ევროგაერთიანება სოციალურ სფეროში არანაირ როლს აღარ უნდა თამაშობდეს. პირიქით, წმინდად სავალუტო გაერთიანებიდან ევროგაერთიანება სოციალურ გაერთიანებად უნდა გადაიქცეს. მართლაც, ევროგაერთიანებას მოუწევს შეებრძოლოს გლობალიზაციის მიერ წამოწეულ ახალ პრობლემებს, რაც აგრეთვე ეროვნულ სისტემებს შორის კონკურენციას და ევროპის სოციალური ქსოვილის გაცვეთასაც მოიცავს.

პირველ რიგში, გაერთიანებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მის მიერ ეკონომიკის, ფინანსურ და მსოფლიო ვაჭრობის სფეროებში გატარებულმა საკანონმდებლო ქმედებებმა და განხორციელებულმა პოლიტიკებმა ფაქტიურად არ შეასუსტონ ცალკეული ქვეყნების სოციალური პოლიტიკები ან შეუძლებელი გახადონ მათი განხორციელება. ევროგაერთიანების პოლიტიკაში ბალანსმა მთლიანად სოციალური და გარემოსდაცვითი მოსაზრებების მიმართულებით უნდა წაინაცვლოს.

რაც შეეხება საჯარო მომსახურებას, მწვანეების აზრით ისეთი სფეროები, როგორებიცაა განათლება, ჯანდაცვა, წყლით მომარაგება, არ უნდა იყონ დამოკიდებული საბაზრო მექანიზმებზე. სხვა სფეროებში, განსაკუთრებით როდესაც საქმე მომსახურებას ან ეკონომიკურ ინტერესებს ეხება (მაგალითად, საჯარო ტრანსპორტი), მწვანეები ყოველთვის განიხილავენ იმის შესაძლებლობას, რომ საჯარო ორგანოებმა გამოიყენონ საბაზრო მექანიზმები, როგორებიცაა

კონტროლს დაქვემდებარებული კონკურენცია (მაგალითად სატენდერო კონკურსების გამოცხადება), რათა უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა ფულის ხარჯვის ეფექტურობა და, ამავდროულად, მაღალი დონის მომსახურება უზრუნველყონ. უნდა არსებობდეს არჩევანი: მოვახდინოთ თუ არა ლიბერალიზაცია (კონკურენციის და სახელმწიფო დახმარების შესახებ სათანადო კანონების გათვალისწინებით) შესაბამის ადგილობრივ, რეგიონალურ ან ეროვნულ დონეებზე. თუმცა, არ უნდა დაეუშვათ განსაკუთრებული მონოპოლური უპირატესობების ვინმესთვის მინიჭება, ანუ მწვანეები მხარს უჭერენ პარიტეტულობის პრინციპს, რაც ნიშნავს, რომ საჯარო კომპანიები, რომლებიც “საშინაო” საჯარო მომსახურების კონტრაქტებით მუშაობენ, დაცული უნდა იყონ ღია საბაზრო კონკურენციისაგან.

მწვანეები დარწმუნებულნი არიან, რომ აუცილებელია ერთიანი ევროპული საგადასახადო პოლიტიკა, რათა შეჩერებული იქნეს ფაქტალური საგადასახადო კონკურენცია წევრ სახელმწიფოებს შორის. მწვანეებს მიაჩნიათ, რომ პირველ ეტაპზე ევროგაერთიანებამ უნდა დააწესოს კორპორატიული, კაპიტალზე და გარემოსდაცვითი გადასახადების მინიმალური განაკვეთები, რითაც ბოლო მოეღება სახელმწიფოებს შორის უკონტროლო საგადასახადო კონკურენციას და საკუთარი კეთილდღეობის სისტემების საკმარისად და მათ უფრო დაბალანსებული გზით (და არა მხოლოდ სამუშაოზე დამოკიდებულად) დაფინანსების საშუალება მიეცემათ. ჩვენ აგრეთვე მიგვაჩნია, რომ ევროგაერთიანებამ უნდა შემოიღოს ერთიანი სოციალური და ფისკალური კრიტერიუმები ბავშვების სიღარიბის და გრძელვადიანი უმუშევრობის საკითხებში.

ევროგაერთიანებამ უნდა მოუწოდოს თავის წევრ სახელმწიფოებს, რათა მათ განსაზღვრონ საარსებო მინიმუმის ან “მინიმალური ანაზღაურების” დონე, და ამასთან მხედველობაში მიიღონ ეროვნული თავისებურებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება კონკურენციის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა. ევროგაერთიანებამ უნდა შეიმუშავოს შრომითი ხელშეკრულებების საერთო ჩარჩოები, რომლებიც განსაზღვრავენ სამუშაო პირობების, სწავლების, ხელფასების და სხვა მსგავს საკითხებს; ევროგაერთიანების კომისიას უნდა მიეცეს უფლება გახადოს ასეთი ხელშეკრულებები დამავალდებულებელი გარკვეული სექტორების ყველა საწარმოებისთვის. ევროგაერთიანებამ აგრეთვე უნდა გააძლიეროს თავისი კანონმდებლობა დისკრიმინაციასთან ბრძოლის სფეროში; განსაკუთრებით ეს შეეხება გენდერულ, ეთნიკურ, უნარშეზღუდულების და სექსუალური ორიენტაციის გამო დისკრიმინაციას. მან აგრეთვე უნდა გააძლიეროს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წესები, რათა ხელი შეუწყოს უფრო სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე ორიენტირებული ბაზრის განვითარებას.

მომხმარებელთა უფლებები და ჯანდაცვა

წარსული წლების საკვებთან და ჯანდაცვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა (ძროხის სიგიჟე, დიოქსინები, საღმონელა, გმო-ებით დაბინძურება და ა.შ) შეარყია მომხმარებლების რწმენა საკვები პროდუქტების, განსაკუთრებით ხორცის და გადამუშავებული საკვების უსაფრთხოებაში და პოლიტიკოსების უნარში გადაჭრან ეს პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ ევროგაერთიანებამ წამოიწყო რამოდენიმე ფართომასშტაბიანი ინიციატივა საკვების მთელი ჯაჭვის განმავლობაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ეს საკმარისი არ გახლავთ. თანაც,

ხშირად, წვერი სახელმწიფოები ამ ინიციატივების ბლოკირებას ან დაყოვნებას ახდენდნენ. საერთაშორისო მოხმარების და ზედმეტად გაბერილი ბაზრების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია სანდო საკანონმდებლო ჩარჩოების შემუშავება და პასუხისმგებელი და ნდობის გამომწვევი კომერციული ურთიერთობების დანერგვა, რაც ევროპაში სამართლიანი, სოციალურად ორიენტირებული და მდგრადი მოხმარების კულტურის ჩამოყალიბების საშუალებას მოგვცემს. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ და ინფორმაციით უზრუნველვყოთ მომხმარებლები, დავიცვათ მათი ჯანმრთელობა და ეკონომიკური ინტერესები, რითაც ხელს შევუწყობთ ყველასათვის ხელსაყრელი ევროპული ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

ევროგაერთიანების მიერ მიღებული საკვების წარმოების პრევენციული პრინციპი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ნარჩენების ან საბოლოო პროდუქტების კონტროლით. კონტროლს დაქვემდებარებული სტანდარტები, რომლებიც საკვების უსაფრთხო წარმოებას უზრუნველყოფენ საკვები ჯაჭვის ყველა ეტაპზე უნდა გამოიყენებოდნენ: მოსავლის მოყვანიდან ან ცხოველების საკვების წარმოებიდან საბოლოო დამუშავებამდე, და ეს პროცესი სამუშაო პირობებსა და გარემოსაც უნდა ეხებოდეს. ეს სტანდარტები განსაზღვრულია ევროგაერთიანების ორგანული საფერმერო მეურნეობების ფუნქციონირების წესებში და მომავალში ისინი ნებისმიერ საკვებ პროდუქტებზეც უნდა გავრცელდეს (იქნება ეს სასოფლო-სამეურნეო, თევზჭერის ან თევზის მეურნეობის პროდუქტი). მასობრივი წარმოება მკაცრ წესებს უნდა ექვემდებარებოდეს და თითოეული სახეობისთვის აუცილებელია შესაბამისი პირობების განსაზღვრა.

იმისათვის, რათა საკვები უკეთესი და უსაფრთხო გაგხადოთ, აუცილებელია

- შევზღუდოთ ინტენსიური აგრო-ინდუსტრიული წარმოება ინტენსიური სოფლის მეურნეობის და მეთევზეობების პრაქტიკის გარემოსდაცვითი, ცხოველების კეთილდღეობაზე და საკვების უსაფრთხოებაზე ორიენტირებული კანონმდებლობის აღსრულებაზე მკაცრი კონტროლის დაწესების გზით დესტიმულაციის მეშვეობით
- შევაფასოთ თევზის მეურნეობების, რომლებიც ცხოველური წარმოშობის საკვებ პროდუქტებს იყენებენ, ზეგავლენა თევზის გლობალურ მარაგებზე და განვითარებად ქვეყნებში საკვების უსაფრთხოებაზე;
- შემოვიღოთ სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საკვების უსაფრთხოებას და ვაკონტროლოთ მათი შესრულება. თუმცა, ამავდროულად, არ უნდა შეიზღუდოს ქმედებები, რომლებიც აუცილებელია რეგიონალური და ადგილობრივი საკვების წარმოებისთვის და საკვების მრავალფეროვნების უზრუნველყოფისათვის;
- გავაფართოვოთ ხარისხის სტანდარტების განსაზღვრებები, რათა გათვალისწინებულ იქნას საკვების კულტურის და გემოვნების მთელი მრავალფეროვნება;
- უზრუნველვყოთ მომხმარებლები ყველა საჭირო ინფორმაციით პროდუქტების წარმოშობის და მათი წარმოების წესის შესახებ. ეს უნდა მოხდეს სამომხმარებლო ინფორმაციის შესახებ ევროგაერთიანების მარეგულირებელი კანონმდებლობის მეშვეობით;

- ეფექტურად ვაკონტროლოთ საკვების შესახებ კანონების შესრულება საკვების წარმოების ყველა ეტაპზე;
- საკვების მთელი ჯაჭვის განმავლობაში გამოვიყენოთ პრევენციული პრინციპი და შემოვიღოთ პასუხისმგებლობის დაკისრების მკაფიო წესები;
- მოვახდინოთ მომხმარებლის მიერ ჯანმრთელი დიეტის სასარგებლოდ არჩევის გაკეთების სტიმულირება;
- ვაკონტროლოთ საკვების ზედმეტი შეფუთვა და მხარი დაუჭიროთ გარემოსათვის არასაზიანო შეფუთვის საშუალებებს.

მაგრამ, საკვების ხარისხი მომხმარებელთა ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის მხოლოდ ერთი ასპექტია. მომხმარებლების დაცვა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა ევროგაერთიანების ყველა პოლიტიკაში (საწარმოო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო, რეგიონალურ, საკვების და ა.შ.) უნდა აისახებოდეს.

მწვანეები აცნობიერებენ, რომ არსებობს მომხმარებლების მხრიდან მზარდი მოთხოვნა სამედიცინო პლურალიზმზე, მათ შორის ალტერნატიულ მედიცინაზე. ევროგაერთიანებამ მხარი უნდა დაუჭიროს მომხმარებლების მოთხოვნას არჩევის თავისუფლების გაზრდის და მეტი ინფორმაციის და მცოდნე სპეციალისტების არსებობის შესახებ.

ახალი ეპიდემიების რისკის წინაშე

მწვანეები აცნობიერებენ, რომ არსებობს კავშირი დაავადებების (მაგალითად, ალერგიების და რესპირატორული ინფექციების) რაოდენობის ზრდას და ჩვენს გარემოზე ზეწოლის გაძლიერებას შორის, რაც პესტიციდების, ქიმიური ნივთიერებების და სხვა გამაბნობურებლების ინტენსიურ გამოყენებაში გამოიხატება.

ამ მხრივ, მწვანეები მხარს უჭერენ “REACH” დირექტივის (დირექტივა ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების და მათ გამოყენებაზე ნებართვის გაცემის შესახებ) გაძლიერებას. დირექტივა აშკარად არასაკმარისია, როგორც კონტროლის პროცედურების, ასევე სახიფათო ნივთიერებების ნუსხის თვალსაზრისით. აუცილებელია ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით და ნარჩენების ინსინირაციით გამოწვეული ტოქსიკური დაბინძურების შეჩერება. აგრეთვე აუცილებელია უსაფრთხოების რისკების ძალიან მკაცრი შეფასება.

ამავდროულად, ჩვენ ახალი მსოფლიო ეპიდემიების საფრთხის წინაშე ვდგავართ. ფრინველის გრიპი, შიდსი, ატიპიური პნევმონია, მაღარია არა მხოლოდ სახელმწიფოების საზღვრებს მიღმა ვრცელდებიან, ისინი ერთი სახეობიდან მეორეზე გადადიან და საბოლოოდ ადამიანს უქმნიან საფრთხეს. შეთანხმებაში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ევროგაერთიანებას, თავის წევრ ქვეყნებთან ერთად, გააჩნია დაავადებების პრევენციის და ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის პასუხისმგებლობა.

უფრო მეტი, მწვანეები მომხმარებელთა დამცველი ორგანიზაციების უფლებების გაძლიერებას მოითხოვენ. უნდა გაძლიერდეს დირექტივები “კარზე მიყიდვის”, სამომხმარებლო კრედიტების, დისტანციაზე გაყიდვების, შესაფუთი მასალების მოძრაობის და პროდუქციაზე პასუხისმგებლობის შესახებ.

მწვანე ეკონომიკური ხედვა ევროპისთვის: საბაზრო ეკონომიკის გადახედვა ეკოლოგიური და სოციალური პრინციპების ჭრილში

მწვანეები მხარს უჭერენ ეკონომიკაში კონკურენციის წესების არსებობას, იმ პირობით, რომ ისინი წარმოადგენენ სამართლიანი და პატიოსანი მიზნის მიღწევის საშუალებას და არა თვითმიზანს.

საზოგადოებრივი მომსახურება – ჯანდაცვა, განათლება და საზოგადოებრივი ტრანსპორტი – მდგრადი განვითარების სტრატეგიის დედაბოძს წარმოადგენს. ევროპას ძლიერი და თანამედროვე საზოგადოებრივი მომსახურება ესაჭიროება. ეს სამსახურები ამჟამად უკვე მთელი ევროპის სამუშაო ადგილების 35%-ს უზრუნველყოფენ და ძალიან მნიშვნელოვანნი არიან წარმატებული, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებისთვის. რაც ნიშნავს, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს ზრდის უზრუნველყოფა და მასზე სათანადო თანხების გამოყოფა. სუბსიდიარულობის პრინციპის სრული გათვალისწინებით, საჯარო სამსახურებს ყველა დონეზე (თუკი ისინი დემოკრატიულად ანგარიშვალდებულნი არიან საკუთარი მოქალაქეების წინაშე) უნდა გააჩნდეთ თავისუფლება ასეთი სამსახურების მოწყობის და დაფინანსების მოდელის არჩევაში. ევროგაერთიანების კანონმდებლობას ამ პრინციპებში საკანონმდებლო სიცხადე უნდა შეჰქონდეს.

მწვანეები მხარს უჭერენ შერეულ ეკონომიკურ სისტემას, რომელიც საჯარო მომსახურების და კერძო სექტორის კომბინაციას წარმოადგენს. კონკურენცია არის არა თვითმიზანი, არამედ პროდუქტების და მოსახურების ხარისხის გაუმჯობესების საშუალება, რომელიც ქმნის ინოვაციებს და მისაღებ ფასებამდე მიყვავართ. მწვანე და სოციალური ეკონომიკა გულისხმობს, რომ კონკურენცია უნდა ემსახუროდეს საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას, კერძოდ სოციალური ერთიანობის მიღწევას, გარემოს დაცვის გაუმჯობესებას და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპების დანერგვას, რაც მდგრადი განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს აგრეთვე გულისხმობს, რომ იგი უნდა შეესაბამებოდეს მუშების ზრდად ზეგავლენას თავიანთი კომპანიების პოლიტიკაზე. ანუ, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებასთან ერთად ევროგაერთიანება სოციალური საწარმოების და კოოპერატივების განვითარებაზეც უნდა ფიქრობდეს.

ეკონომიკური განვითარება ეკოლოგიური ფაქტორებით არის შეზღუდული. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ენერგეტიკის საკითხების და კლიმატის ცვლილების ჭრილში. იმის გათვალისწინებით, რომ უახლოეს ათწლეულში ევრეთწოდებული “ნავთობის კრიზისის პიკი” მოსალოდნელი, ევროპას, როგორც არასდროს, სჭირდება ახალი ენერგო-კულტურის დანერგვა. აუცილებელია მასობრივად გადავერთოთ ენერჯის განახლებად წყაროებზე, უნდა შევცვალოთ ცხოვრების წესი, მოხმარების მოდელები, ტრანსპორტის საშუალებები და დიდი ძალიანსხმევა მივმართოთ ენერგოეფექტურობის და კონსერვაციის მისაღწევად. ამას გარდა, ევროპაში ეფექტური და კონკურენტუნარიანი ენერგობაზრის შექმნა საბაზრო კონცენტრაციის შემცირებას მოითხოვს. მარეგულირებელი ინსტრუმენტები, მათ შორის ფისკალური საშუალებები, ბაზარზე ახალი, ენერჯის განახლებად წყაროებზე ორიენტირებული მოთამაშეების შემოსვლის წასახალისებლად უნდა გამოიყენებოდნენ. ამის მსგავსად, ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკის

განვითარება მდგრადი განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი. კველვისა და განვითარების, ისევე როგორც ინოვაციების პოლიტიკები გარემოსათვის არასახიანო ტექნოლოგიებზე უნდა ახდენდნენ ფოკუსირებას. ექვგარეშეა, რომ ეკოლოგიური ეფექტურობა თანამედროვე, განვითარებული ეკონომიკის მთავრ მახასიათებელს წარმოადგენს. ამ მხრივ, ბირთვული ენერჯეტიკის ბაზარი იმ მიმართულების მაგალითს წარმოადგენს, რომელსაც ჩვენ არ უნდა გავყვეთ. იმის გარდა, რომ იგი ეკოლოგიას და უშიშროებას მნიშვნელოვან საფრთხეებს უქმნის, იგი ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ინტერესების და კონკურენციის ჩვენეულ კონცეფციას. თუკი გამდიდრებული ურანის შესყიდვის, ნარჩენების განთავსების და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელ ხარჯებს გავითვალისწინებთ, ბირთვული ენერჯის ფასი ძალიან მაღალი გამოდის.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები ევროგაერთიანების საჭიროებების დაკმაყოფილებას უნდა ემსახურებოდეს. 2005 წლის მარტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, “პაქტი სტაბილურობისა და ზრდის შესახებ” ეროვნულ დონეზე მეტ შესაბამისობას უნდა უზრუნველყოფდეს და, ამავდროულად, ევროგაერთიანების დონეზე მეტი მანევრის სივრცეს უნდა იძლეოდეს. ფოკუსი საჯარო და კერძო ინვესტიციებზე უნდა კეთდებოდეს, რადგან ეს უმუშევრობის შემცირების მთავარი საშუალებაა. ევროპას მართლაც სჭირდება ეკოლოგიურად ეფექტურ ტექნოლოგიებში საჯარო და კერძო დაბანდებების მოზიდვა და ამ ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვა. საბაზრო ურთიერთობების შესახებ ახალი კანონებიც უნდა აძლიერებდნენ მოთხოვნას ასეთ ტექნოლოგიებზე. ფისკალური პოლიტიკაც მდგრად განვითარებას უნდა ემსახურებოდეს. ევროპას მეტი ფისკალური თანამშრომლობა და არა კონკურენცია სჭირდება, რათა შესაძლებელი იყოს ამბიციური სოციალური პოლიტიკის განხორციელებისთვის აუცილებელი ფინანსური სახსრების მობილიზაცია. ამ თვალსაზრისით აუცილებელია გარემოსდაცვითი საგადასახადო რეფორმის და კომპანიების დაბეგვრის პოლიტიკების ევროპულ დონეზე კოორდინაცია.

საზოგადოებრივი მომსახურება მდგრადი განვითარების სტრატეგიის დედაბოძს წარმოადგენს. ევროპას ძლიერი და თანამედროვე საზოგადოებრივი მომსახურება ესაჭიროება. ეს სამსახურები ამჟამად უკვე მთელი ევროპის სამუშაო ადგილების 35%-ს უზრუნველყოფენ და ძალიან მნიშვნელოვანნი არიან წარმატებული, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებისთვის. რაც ნიშნავს, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს ზრდის უზრუნველყოფა და მასზე სათანადო თანხების გამოყოფა. სუბსიდიარულობის პრინციპის სრული გათვალისწინებით, საჯარო სამსახურებს ყველა დონეზე (თუკი ისინი დემოკრატიულად ანგარიშვალდებულნი არიან საკუთარი მოქალაქეების წინაშე) უნდა გააჩნდეთ თავისუფლება ასეთი სამსახურების მოწყობის და დაფინანსების მოდელის არჩევაში. ევროგაერთიანების კანონმდებლობას ამ პრინციპებში საკანონმდებლო სიციხადე უნდა შეჰქონდეს. ევროგაერთიანებამ პოლიტიკურ დონეზე უნდა აღიაროს სოციალური საწარმოები და ნებაყოფლობითი სექტორი. ეკონომიკის ეს სექტორი, რომელიც კოოპერატივებთან მცირე საწარმოებამდე სხვადასხვა ნებაყოფლობითი გაერთიანებების მთელ სპექტრს მოიცავს, კონკურენციის ჩარჩოებში მოქმედებს და ინოვაციურ ან ზრდად სფეროებში (მაგალითად გარემოს დაცვა და ინდივიდთა მომსახურება) მრავალ სამუშაო ადგილს ქმნის.

ევროგაერთიანების ბიუჯეტი ისეთ დონეზე უნდა იქნას აყვანილი, რომელიც გაერთიანების პოლიტიკურ კომპეტენციებს შეესაბამება. შეუძლებელია მდგრადი განვითარების პოლიტიკების განხორციელება ზრდადი ევროგაერთიანების პირობებში, განსაკუთრებით როდესაც მისი ბიუჯეტი GDP-ს მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენს. ამას გარდა, ამ დანახარჯების განაწილებისას აუცილებელია პრიორიტეტული საჭიროებების, მათ შორის მდგრადობის, გარემოსდაცვითი ინოვაციების, ერთიანი საგარეო პოლიტიკის და განვითარებისთვის თანამშრომლობის პოლიტიკის გათვალისწინება.

ევროპა, როგორც სამართლიანი გლობალიზაციის მხარდამჭერი

გლობალიზაციის მიმართ წმინდად თავდაცვითი მიდგომა ჩიხში შეგვიყვანს. არც “*ადაპტაციური*” პარადიგმა – იდეა, თითქოს გლობალიზაცია ევროგაერთიანების ფარგლებს გარეთ წარმოშობილი მოვლენაა და ევროგაერთიანებამ მასთან ადაპტაცია უნდა მოახდინოს, – და არც “*თავდაცვითი*” პარადიგმა – იდეა, იმის შესახებ, რომ ევროპამ უნდა შეამციროს თავისი მონაწილეობა გლობალურ ეკონომიკაში საქონლის, მომსახურების ან პიროვნებების თავისუფალი გადაადგილებისთვის ბარიერების შექმნის საშუალებით, – არ ემსახურებიან ევროგაერთიანების ან მთელი მსოფლიოს მოქალაქეების ინტერესებს.

მწვანეები ევროგაერთიანების უფრო აქტიურ პოზიციას უჭერენ მხარს, რადგან მისი როლი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის მიმართულების შეცვლაში და ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მომგებიან ორიენტაციაზე გადასვლაში. როგორც მსოფლიოს უდიდესმა ეკონომიკურმა მოთამაშემ, ევროგაერთიანებამ ამ კუთხით სრული პასუხისმგებლობა უნდა იკისროს. ამდენად, მწვანეები მოითხოვენ, რომ ევროგაერთიანებამ იკისროს გლობალურ ეკონომიკაზე საკუთარი ნეგატიური ზეგავლენის შემცირების ვალდებულება. ევროგაერთიანების მიერ შორს მიმავალი ეკო-ეფექტურობის სტრატეგიის არჩევა სამართლიანი გლობალიზაციის პროცესის ჩამოყალიბების წინაპირობაა.

მწვანეები აგრეთვე მოითხოვენ, რომ ევროგაერთიანებამ იკისროს პასუხისმგებლობა გლობალიზაციის ნეგატიური სოციალური ზეგავლენის პოზიტიური მიმართულებით შემობრუნებაზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ევროგაერთიანებამ უნდა გამოიყენოს თავისი ეკონომიკური ავტორიტეტი, რათა შესაძლებელი გახადოს გაეროს ათასწლეულის მიზნების დროული განხორციელება და უზრუნველყოს მშრომელთა ფუნდამენტალური უფლებების დაცვა. იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ ‘სოციალური ნეო-კოლონიალიზმი’ ეს პროცესი განვითარებად ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე უნდა წარიმართოს.

მწვანეები მოუწოდებენ მსოფლიოს სხვა ნაწილებში (აფრიკა, ლათინური ამერიკა და ა.შ.) განლაგებულ ქვეყნებს მიჰყვნენ რეგიონალური-კონტინენტალური ინტეგრაციის პროცესებს, რომლებიც დემოკრატიულ ღირებულებებზე და ადამიანის უფლებების დაცვაზე იქნებიან დაფუძნებული. მწვანეები მიესალმებიან საზოგადოებრივი სამსახურების განვითარებას. ისინი აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საჯარო ორგანოები ეკონომიკურ განვითარებაში როგორც ევროგაერთიანებაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. შესაბამის ორგანოებს

უნდა მიეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ საჯარო სამსახურები და საზოგადოებრივი მომსახურება კონკურენციის წესებისაგან დაიცვან.

მწვანეები თვლიან, რომ საზოგადოებრივი ფინანსების ხარჯვის ეფექტურობის გაძლიერება ვალდებულებას უნდა წარმოადგენდეს. ევროგაერთიანებაში და მის ფარგლებს გარეთ, ზედმეტად შემზღუდავი ფისკალური და სავალუტო პოლიტიკები არ აძლევენ საჯარო სამსახურებს იმის საშუალებას, რომ მათ სათანადოდ დააკამყოფილონ სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნილებები.

მწვანეები მხარს უჭერენ კვლევების და განვითარების ისეთ პოლიტიკას, რომელიც მდგრადი განვითარების მოთხოვნებს შეესაბამება; კვლევები და განვითარება, ისევე როგორც ინოვაციები გარემოსათვის არასახიანო ტექნოლოგიებზე უნდა ახდენდნენ ფოკუსირებას; ფუნდამენტალური კვლევები სულ მცირე ისევე განვითარებული უნდა იყოს, როგორც გამოყენებითი მიმართულებების კვლევები; ევროგაერთიანებაშიც და მის ფარგლებს გარეთაც განათლება პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

იმისათვის, რათა გლობალურ ეკონომიკურ მოთამაშეს წარმოადგენდეს, ევროგაერთიანებას შესაბამისი ინსტიტუტები სჭირდება. შეუძლებელია, რომ ევროგაერთიანებამ გლობალიზაციის პროცესის მობრუნებაში გადამწყვეტი როლი ითამაშოს, თუკი მისი ინსტიტუციონალური მოწყობა მას ამ სფეროში სათანადო კომპეტენციას არ მიანიჭებს. ევროგაერთიანების სავაჭრო პოლიტიკაში არსებული კომპეტენციები (მუხლი 133) უნდა გავრცელდნენ საგარეო ურთიერთობათა პოლიტიკაზეც და შექმნან საგარეო საფინანსო პოლიტიკაში უფრო კოჰერენტული მიდგომების გატარების შესაძლებლობა. ამ სფეროში შემოთავაზებული ხელშეკრულებები ევროპარლამენტის და საბჭოს მიერ უნდა იქნან დამოწმებული. გლობალურ დონეზე, ეკონომიკური, სოციალური განვითარების და გარემოსდაცვითი პოლიტიკები კოჰერენტულად უნდა იმართებოდნენ. შესაბამისად, “მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ”, “გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ” და “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ” გაეროს სისტემის თანასწორი საყრდენების სტატუსი უნდა შეიძინონ, და იგივე დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპებს უნდა დაექვემდებარონ. “მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის” შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ საჭიროა მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების მკაფიოდ განსაზღვრა. საჯარო სამსახურები ამ სქემიდან უნდა გამოითიშოს. ჩვენ მოვუწოდებთ გაეროს ინსტიტუტებს, იხმარონ ყველა ღონე, რათა დააჩქარონ “მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის” პროაქტიული რეფორმირების პროცესი.

თავისუფალი ვაჭრობა სამართლიანი ვაჭრობის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. ეს ნიშნავს, რომ ფასები წარმოებასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ რეალურ სოციალურ და გარემოსდაცვით დანახარჯებს უნდა ასახავდნენ. მწვანეები მხარს უჭერენ ევროგაერთიანების ბაზარზე იმ საქონლის შემოსვლის შეზღუდვის იდეას, რომელის წარმოების ან დისტრიბუციის წესი ძირითად სოციალურ ან გარემოსდაცვით მოთხოვნებს (მაგალითად “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის” კონვენციებს) ეწინააღმდეგება. ეს აგრეთვე გულისხმობს, რომ ევროპამ პირველმა უნდა მისცეს ყველას მაგალითი და შეაჩეროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჭარბი წარმოება. ამჟამად ნამატი, სუბსიდიების დახმარებით, განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს სადემპინგო ფასებით მიეწოდება.

მდგრადობის იდეა განვითარების ყველა პოლიტიკაში უნდა იქნას გათვალისწინებული. განვითარების ამოცანები ადამიანის უფლებების დაცვის, სიღარიბის დაძლევის, კონფლიქტების პრევენციის, დემოკრატიული მონაწილეობის და ქალების უფლებების გაძლიერების, ენერგოეფექტურობის, მომხმარებელთა უფლებების და გარემოს დაცვის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდნენ. ევროგაერთიანებამ უფრო კონკრეტული ვალდებულებები უნდა აიღოს განვითარებადი ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების გაზრდაზე. უნდა იქნას შემოღებული “ტობინის ტიპის” გადასახადი კაპიტალის მოძრაობაზე. ამას ორი მიზეზი გააჩნია: ფინანსურ სპეკულაციებთან ბრძოლა და განვითარებისთვის აუცილებელი თანხების მოზიდვა. ჩვენ ვიღწვივით, რათა 2015 წლისათვის მივაღწიოთ “განვითარებისთვის ოფიციალური დახმარების” (Official Development Assistance - ODA) 0.7%-იან დონეს, დავალიანებების ჩამოწერის გამოკლებით, რომლებიც ODA-ს მიერ აკრედიტებული იქნებიან. თავად ამ მიზნის მიღწევა ევროგაერთიანების ყველა წევრ ქვეყანაში უნდა დაჩქარდეს. ჩვენ გვინდა, რომ ევროგაერთიანებას ფულის გათეთრების, ფისკალური თაღლითობის და გადასახადების თავიდან აცილების წინააღმდეგ ევროპულ და გლობალურ დონეზე საბრძოლველი ყველა საჭირო საშუალება და მექანიზმი გააჩნდეს.

დემოკრატია, მრავალფეროვნება და კანონის უზენაესობა

მწვანეებისთვის დემოკრატია ფუნდამენტალურ ღირებულებას წარმოადგენს. დემოკრატია გულისხმობს სამართლიან წარმომადგენლობას, მოქალაქეთა მონაწილეობას და პირდაპირი დემოკრატიის ინსტრუმენტებს. ევროპის მოქალაქეები სულ უფრო კრიტიკულად ხდებიან განწყობილი დემოკრატიული მონაწილეობის შეზღუდვის მიმართ. მწვანეები მხარს უჭერენ ისეთი ინსტრუმენტების გაძლიერებას, რომლებიც უკეთესად უზრუნველყოფენ მოქალაქეთა მონაწილეობას. ერთერთი ასეთი ინსტრუმენტი ევროგაერთიანების რეფერენდუმიანია. მეორე ინსტრუმენტი მოსახლეობის ინიციატივაა, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს ტრანსსახელმწიფო კავშირები მოქალაქეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და პოლიტიკურ პარტიებს შორის, რადგან მათ ერთობლივი კამპანიების წარმართვის შესაძლებლობა მიეცემათ. სოციალური, კულტურული, იურიდიული და გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები ევროპის სამოქალაქო საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ამ ჯგუფებს ევროპის დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში უფრო მეტი უფლებები უნდა მიეცეთ. შესაბამისად, მწვანეები მხარს უჭერენ ამ ორგანიზაციებისთვის თავისი პროფილის ინსტიტუტებში საკონსულტაციო სტატუსის მინიჭების იდეას და მათვის ევროპულ სასამართლოში სარჩელის შეტანის პროცედურის გამარტივებას.

ორგანიზებული დანაშაული სულ უფრო ინტენსიურად ერთვება გარემოსდაცვით სფეროში: ნარჩენების მართვა, საჯარო სამუშაოები და მშენებლობა, თავად ევროგაერთიანების სუბსიდიების ხარჯვა რისკის ქვეშ იმყოფებიან, რადგან აქ მექრთამეობის, ფულის გათეთრების და კანონის უზენაესობის დარღვევის შემთხვევებთან გვაქვს საქმე. ევროგაერთიანებამ უნდა შექმნას ეკო-მაფიასთან მებრძოლი სპეციალური დანაყოფები, მოსთხოვოს “ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ მებრძოლ ოფისს” (OLAF), რომ მანაც იგივე გაკეთოს და წამოიწიოს მთელი ევროპის მასშტაბით კანონის უზენაესობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანია.

კულტურის ყველასათვის ხელმისაწვდომობა, ყველა კულტურის აღიარება და დაცვა და ევროპის თითოეული ენისა და კულტურის მხარდაჭერა მთელი მათი მრავალფეროვნების შენარჩუნებით უნდა იქნას გარანტირებული და განხორციელებული ევროგაერთიანების მიერ.

ჩვენი ენის აღიარება და მისი გამოყენების და მასზე სწავლების განხორციელების თავისუფლება ჩვენი ფუნდამენტალური უფლებების რიცხვს განეკუთვნება. აუცილებელია ეგრეთ წოდებული უმცირესობების კულტურების და ენების (რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ ევროგაერთიანების სხვადასხვა რაიონებში) აღიარება.

თუმცა, ამჟამად კულტურა მეტ წილად ეროვნული პოლიტიკების ნაწილს წარმოადგენს, სხვადასხვა ევროპულ კულტურებს შორის გაცვლა-გამოცვლა და “ჯვარედინი განაყოფიერება” კარგ საშუალებებს იძლევა. იმისათვის რათა ავამაღლოთ ცნობიერება კულტურული მრავალფეროვნების რაც შეიძლება ფართოდ გაზიარების სარგებლის შესახებ, უნდა განვახორციელოთ კულტურული გაცვლის პროგრამები ევროპის ქალაქებსა და სოფლებს შორის.

იმისათვის რათა გავაძლიეროთ ამ მრავალფეროვანი ევროპული კულტურისადმი კუთვნილების შეგრძნება, ჩვენ რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდა ადამიანს უნდა მივცეთ ევროპის სხვა ქვეყნებში სწავლის შესაძლებლობა, იქნება ეს სამეცნიერო, თუ პროფესიული განათლება. ამისათვის საჭიროა გაცვლის პროგრამებისთვის (მაგალითად: “ერაზმი”, “სოკრატე” ან “ლეონარდო”) გამოყოფილი დაფინანსების გაზრდა.

მიგრაცია

არასოდეს ისტორიაში არ ყოფილა ასე დიდი განსხვავება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, მდიდარ და ღარიბ რეგიონებს შორის, და ეს განსხვავება ვაჭრობის და საინფორმაციო ნაკადი გლობალიზაციასთან ერთად სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. მიგრანტების დიდი რაოდენობა საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს, ოღონდ ევროპის ნაპირებს მიაღწიოს, სადაც ისინი ცხოვრების ღირსეული დონის საძიებლად მიდიან.

ევროგაერთიანება არა მარტო ცხოვრების უფლების არ მქონე მიგრანტების (მათი უმრავლესობა ტრეფიკინგის მსხვერპლს წარმოადგენს) ლეგალიზაციაზე ამბობს უარს, ის ცდილობს დაარწმუნოს ამ მიგრანტების მშობლიური ქვეყნები, რომ მათ კარი დაუხურონ ემიგრანტებს, რაც “ადამიანის უფლებების უნივერსალურ დეკლარაციაში” განსაზღვრული თავისუფალი მიმოსვლის უფლების სრულ დარღვევას ნიშნავს.

რაც არ უნდა მაღალი ღირებულებები ვაშენოთ, რაც არ უნდა მკაცრი სასაზღვრო დაცვის ზომები მივიღოთ, არალეგალური მიგრანტების შემოსვლას ვერ შევაჩერებთ, სანამ ევროპაში მათ შრომაზე მოთხოვნა იარსებებს. რადგან მიგრაციის შეჩერება შეუძლებელია, ჩვენ ვალდებული ვართ გადავხედოთ ჩვენს შეხედულებებს და აღარ აღვიქვათ მიგრანტები, როგორც რაღაც საშიშროება. მათ ჩვენთან თავიანთი ნიჭი და ენერჯია მოაქვთ. ჩვენ უნდა შევქმნათ მიგრაციის

რეგულირების საშუალებები. ეს გულისხმობს როგორც მიგრანტების ღირსეულად მიღებას, ასევე მათი ქვეყნებისთვის რეალური თანაგანვითარების პოლიტიკის შექმნაში დახმარების აღმოჩენას.

გაერთიანებაში, რომელშიც შინაგანი საზღვრები არ არსებობს, ეს ერთიანი მიდგომის განხორციელებას მოითხოვს. ევროკომისიამ ამ სფეროში კოორდინირებული პოლიტიკის კონცეფცია უნდა წარმოადგინოს და განახორციელოს. აუცილებელია აგრეთვე შრომითი მიგრანტების წარმოშობის ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება. ეს, მაგალითად, შეიძლება მიგრაციის ცირკულარული ფორმების მეშვეობით მოხდეს, როდესაც მიგრანტები ევროპაში მიღებულ უნარ-ჩვევებს და გამოცდილებას შემდგომში თავიანთი ქვეყნის განვითარების მიზნებისათვის გამოიყენებენ. რეალურად, მათი ქვეყნების შემოსავლების ძირითად წყაროს ხომ ემიგრანტების მიერ თავიანთი ოჯახებისთვის გაგზავნილი თანხები წარმოადგენენ.

ამას გარდა, ევროგაერთიანებამ მეტი თანხები უნდა გამოეყოს თავისი რესურსებიდან სიღარიბის დასაძლევად და მსოფლიოს ყველაზე ღარიბ რეგიონებში მდგრადი დემოკრატიული სტრუქტურების ჩამოსაყალიბებლად.

რაც შეეხება ევროპის ლტოლვილთა პოლიტიკას, მიზანი, რომელიც მთელი ევროგაერთიანების მასშტაბით “ჟენევის კონვენციის” შესრულების უზრუნველყოფას გულისხმობდა, ვერ იქნა მიღწეული. თუმცა, აქამდე ევროპული მიდგომის არანაირი ალტერნატივა არ არსებობს. დაღმავალი მოძრაობის აღმავალი გზით მიმართვის ერთადერთი გზა არსებობს: ახალი, დემოკრატიული საკანონმდებლო პროცესის წარმართვა, რომელშიც ევროპარლამენტი მისთვის ცოტა ხნის წინათ თანაგადაწყვეტილებების მიღების უფლებას გამოიყენებს.

თავშესაფრის მაძიებლებს ღირსეულად და პატივისცემით უნდა მოვექცეთ, სანამ ისინი თავიანთ განცხადებაზე პასუხს შეიტყობდნენ. აუცილებელია სოლიდარობის პრინციპის შემოღება, რათა თავიდან ავიცილოთ სიტუაციები, როდესაც ევროპის ზოგიერთი ქვეყანა გადატვირთულია მსგავსი მომართვებით, ხოლო დანარჩენებს თითქმის არანაირი წვლილი არ შეაქვთ ლტოლვილების პრობლემების მოგვარებაში. საჭიროა, რომ “დუბლინის კონვენცია”, რომლის მიხედვითაც თავშესაფრის მაძიებლებმა განცხადება იმ ქვეყანაში უნდა შეიტანონ, რომელშიც ისინი ევროგაერთიანების ტერიტორიაზე შედიან, უფრო მოქნილი გახდეს იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებზედაც ძირითადი დატვირთვა მოდის. და ბოლოს, უნდა არსებობდეს ევროპული თავშესაფრის სისტემა, რომელიც მართლაც ერთიანი იქნება, და რომელიც ევროგაერთიანების ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

სამართალი

ტრანსსასაზღვრო დანაშაულებთან და ტერორიზმთან ბრძოლაში ევროგაერთიანებას მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია. თუმცა, დღეს სამართალდამცავი ორგანოების ზრდადი თანამშრომლობის შედეგად ზედმეტად ხშირად ხდება ისეთი ფუნდამენტალური უფლებების დარღვევა, როგორებიცაა პირადი ხელშეუხებლობა და სამართლიანი გასამართლების უფლებები. უახლოეს ათწლეულებში მთავრობებს გაუჩნდებათ საშუალება ყველა თავისი მოქალაქე მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მოაქციონ. მწვანეები უარყოფენ ასეთ “უფროსი

ძმის” პრინციპებზე აგებულ საზოგადოებას. ევროგაერთიანება ყველასათვის ფუნდამენტალური უფლებების დაცვის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს. ეს არადისკრიმინაციის პრინციპსაც მოიცავს. ამ პრინციპთან შესაბამისობა ძალიან მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს, რათა მთვარობებს არ შეეძლოთ მათი მოქალაქეების მთელი ჯგუფების მიმართ ისე მოქცევა, თითქოს მათი თითოეული წარმომადგენელი ტერორიზმში ეჭვმიტანილი იყოს. თუკი ევროპა შეძლებს წინა პლანზე წამოწიოს ინდივიდუალური თავისუფლებები და ტოლერანტობა, ამან შეიძლება მთელი მსოფლიოს შემოქმედი ნიჭიერი ხალხისთვის შექუურის როლი ითამაშოს.

შესაბამისად, მწვანეებს სურთ, რომ “ფუნდამენტალური უფლებების ქარტია” რაც შეიძლება მალე გახდეს დამავალდებულებელი ევროგაერთიანების უკლებლივ ყველა სტრუქტურისათვის. ჩვენ აგრეთვე გვსურს, რომ “ევროპის სამეზობლო პოლიტიკა” მუდმივად ითვალისწინებდეს ადამიანის უფლებების კომპონენტს, როგორც ამას ევროგაერთიანების “ფუნდამენტალური უფლებების სააგენტო” გვირჩევს.

ევროგაერთიანება აგრეთვე უნდა შეუერთდეს “ევროპის კონვენციას ადამიანის უფლებების შესახებ”. ევროპაში იუსტიციის და შინაგან საქმეთა საკითხებზე კანონების მიღება ექსკლუზიურად ეროვნული მთავრობების პრეროგატივას აღარ უნდა წარმოადგენდეს, არამედ ეს საკითხი ევროპარლამენტის და მინისტრთა საბჭოს ერთიან გადაწყვეტილებებს უნდა დაექვემდებაროს. თუმცა, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საზოგადოებრივი მეთოდის გამოყენებისათვის აუცილებელია იმ დანაშაულების ზუსტი განსაზღვრა, რომლებიც ევროგაერთიანების კომპეტენციის ქვეშ მოექცევიან. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, რომ სერიოზულ ტრანსსასაზღვრო დანაშაულებთან ბრძოლა არ გულისხმობს აბორტებთან, ნებაყოფლობით ევთანაზიასთან ან ადგილობრივ დონეზე მსუბუქი ნარკოტიკების რეალიზაციასთან ბრძოლას. კავშირის გაფართოვების პარალელურად მისი მოქალაქეების ეთიკური კონცეფციების რაოდენობაც გაიზრდება. თუკი ევროგაერთიანება ვერ შეძლებს ამ მრავალფეროვნების მიმართ სათანადო პატივისცემის გამოჩენას, იგი აღიქმება, როგორც ეროვნული და პიროვნული თავისუფლებების შემზღუდავი ძალა.

მას შემდეგ, რაც ყველა ზემოჩამოთვლილი კონტროლის საშუალებები და გარანტიები შემუშავდება, კარგად განსაზღვრულ ტრანსსასაზღვრო დანაშაულებების ნუსხაში შესული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის წამოყენება “ევროპის საჯარო პროკურორს” უნდა მიენდოს. ჩვენ “ევროპის სადაზვერვო სამსახურის” შექმნასაც კი შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან ეს გააძლიერებდა ეროვნულ სამსახურებს შორის თანამშრომლობას, რომელიც ამჟამად საკმაოდ დაბალ დონეზე ხორციელდება. ასეთი ორგანოების დემოკრატიული კონტროლი ევროპარლამენტის და ეროვნული პარლამენტების მიერ ერთობლივად უნდა განხორციელდეს. ევროსაბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობა ევროგაერთიანებას ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში უფრო ეფექტურს გახდის. ევროგაერთიანებას უნდა გამოეყოს ადგილი ევროსაბჭოში, რომელიც სანაგიეროდ მიიღებს “ფუნდამენტალური უფლებების სააგენტოს” ხელმძღვანელ ორგანოებში საკუთარი წარმომადგენლის დელეგირების უფლებას.

დასკვნა

ჩვენ, ევროპის მწვანეები, მყარად ვუჭერთ მხარს ევროპის უფრო ღრმა პოლიტიკურ ინტეგრაციას.

ჩვენ გვჭირდება კავშირი, რადგან მან აშკარად უჩვენა თავისი შესაძლებლობები თავის წევრებს შორის მშვიდობის მიღწევის და შენარჩუნების საქმეში, ხოლო, მშვიდობა თავისით არ მოდის, არც ევროპაში და არც მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ გვჭირდება კავშირი, რადგან გლობალური დათბობის და სხვა გარემოსდაცვითი პრობლემების დაძლევა ნებისმიერი ცალკე აღებული სახელმწიფოს მთავრობის შესაძლებლობებს სცილდება. ჩვენ გვჭირდება კავშირი, რადგან ცალკეული ქვეყნების სოციალური დაზღვევის სისტემებს შორის შეუზღუდავი კონკურენცია ჩვენი ქვეყნების სოციალურ ერთიანობას ანადგურებს. ჩვენ გვჭირდება კავშირი, რადგან დაავადებები საზღვრებს არ სცნობენ. ჩვენ გვჭირდება კავშირი, რადგან ჩვენ უნდა ვიპოვნოთ კრიტიკული მასა, რომელიც გამოიწვევდა ფასეულობების ჩამოყალიბების ახალ – უფრო მწვანე – ჯაჭვურ რეაქციას, რაც ჩვენს ქვეყნებში მასობრივი უმუშევრობის პრობლემებთან უფრო ეფექტურად ბრძოლის საშუალებას მოგვცემდა. ჩვენ გვჭირდება კავშირი, რათა უფრო სამართლიან ჩარჩოებში მოვაქციოთ გლობალიზაცია და მივიღოთ პროცესი, რომელიც იქნება მეტად ორიენტირებული მთელი მსოფლიოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მეტ ყურადღებას მიაქცევს გარემოსდაცვით პრობლემებს, უფრო მგრძობნიარე იქნება მრვალფეროვნების მიმართ. ჩვენ გვჭირდება კავშირი, რადგან მიგრაციის პრობლემების გადაჭრა ჩვენი საერთო და არა მხოლოდ ჩვენს საზღვრებთან განლაგებული ქვეყნების პასუხისმგებლობაა. ეს მცირეოდენი, მაგრამ ძალზედ მნიშვნელოვანი მაგალითები საკმარისი მიზეზია იმისათვის, რომ ჩვენ ერთად სვლა გავაგრძელოთ და ევროპის დონეზე ინტეგრაციის პროცესები გავაღრმავოთ.

რა თქმა უნდა ევროგაერთიანება არც საბოლოო მიზანია და არც ევროპაში – მთლიანად პლანეტაზე რომ აღარაფერი ვთქვათ – არსებული ყველა პრობლემის გადაწყვეტის უებარი წამალი. ზოგიერთი პრობლემის მოგვარება უფრო დაბალ დონეებზეც შეიძლება – ადგილობრივზე, რეგიონალურზე, ეროვნულზე; სხვა პრობლემები მართლაც გლობალურ მიდგომას საჭიროებენ. მაგრამ ჩვენი პერსპექტივიდან, ვერავინ უარყოფს ვერც მის მიღწევებს, ვერც მის წარმატებებს ზოგიერთი იმ სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებსაც ჩვენ, როგორც ევროპელები ჩვენს ცხოვრებაში ვაწყდებით.

დღეს ევროგაერთიანება კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. დიდი ხანია გაქრა დამფუძნებლების ურყევი რწმენა, ხოლო ძლიერმა ბიძგმა, რომელიც კონტინენტმა ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ მიიღო, თავისი ენერჯია თითქმის ამოწურა. გაერთიანება დინებას მიყვება, მას ფრთხილი კომისია მართავს, გადაწყვეტილებების მიღება ზოგჯერ ზედმეტად ბიუროკრატიზებულია და მცირედ ითვალისწინებს მოსახლეობის სოციალურ და გარემოსდაცვით საჭიროებებს; ძალიან ბევრგან ევროგაერთიანებამ მოსახლეობის მხარდაჭერა დაკარგა. წევრი სახელმწიფოების მთავრობების უმრავლესობა თანამშრომლობის მაგივრად კონკურენციის კულტურას ნერგავს ან სულაც განტყვევის ვაცის როლში გამოჰყავს გაერთიანება, როდესაც ეროვნულ დონეზე არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება არის საჭირო.

იმისათვის რათა გაერთიანება ჩიხიდან გამოვიყვანოთ, ახალი სტიმულების გვესაჭიროება. ამისათვის სულ მცირე სამი ძირითადი პირობა უნდა დაკმაყოფილდეს. პირველი – მთელი კონტინენტის მასშტაბით პოლიტიკურა ლიდერებმა უნდა შეიცვალონ ამჟამინდელი პოლიტკორექტული ევრო-სკეპტიკური ორიენტაცია და უნდა აღიარონ პოლიტკური ევროპული გაერთიანების ფასეულობა, და ფაქტიურად მისი გარდაუვალი აუცილებლობა. მეორე – მათ ეფექტურად უნდა დაიწყოთ იმ პრობლემების გადაჭრა, რომლებსაც ჩვენ როგორც ევროპის და მსოფლიოს მოქალაქეები ვაწყდებით და ზოგიერთი რომელთაგანიც ჩვენ უკვე ზემოთ მოვიხსენიეთ. და ბოლო, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი – აუცილებელია, რომ ყველა სოციალურმა მოთამაშემ – არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა და ა.შ. – რომელიც სწუხს ამ საკითხებზე და სამართლიანად თვლის, რომ კავშირის ამჟამინდელი პოლიტკური ხელმძღვანელობა ვერ ახერხებს ამ საკითხების მოგვარებას, მოძებნოს გზები და ერთობლივად მოახდინოს ზეწოლა ზემოთ განსაზღვრული ცვლილებების განხორციელების მიზნით.

ჩვენ, როგორც ევროპის მწვანეები მზად ვართ მივიღოთ ეს გამოწვევა. ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ ამ მიზნის მიღწევას მარტო ვერ შევძლებთ, და რომ ჩვენ არ გაგვაჩნია ყველა პრობლემის მოგვარების რეცეპტი. პოლიტიკური და სოციალური სცენების სხვა მოთამაშეებსაც გააჩნიათ თავიანთი ხედვა, იდეები და ენერჯია და ჩვენ უნდა გავაერთიანოთ ძალისხმევა, რათა მივცეთ ფორმა განახლებულ ევროპის კავშირს. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ჩვენ წვლილს იმაში, რაც მთელ კონტინენტზე და რეალურად გაერთიანებაში შესვლის მსურველი ყველა ქვეყანაში გამართულ დებატებად უნდა გადაიქცეს. მხოლოდ ასე შევძლებთ დაუზღვრულ ევროგაერთიანებას თავისი ფუნქცია და მივცეთ ევროპას სოციალურად და ეკოლოგიურად მდგრადი მომავლის მიღწევის შანსი.